პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო.

№ 243 (5044) | შაბათი, 23 ოქტომბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

სტალინური ეპოქის ბრწყინვალე მზით გამთბარი ჩვენი ბედნიერი ქვე ს
მშრომელნი და მათი დიადი ერთიანობა — საიმედო გარანტიაა იმისა, რომ
კავშირის უზენაეს საბჭოში გაიგზავნებიან ლენინ-სტალინის საქმისადმი ერთგუ
კელი და თავდადებული მებრძოლი ადამიანები.

კომუნისტებისა და უპარტიოების სისხლხორცეული კავშირი

20 ოქტომბერს დასაწყისი მიეცა საარჩევნო კამპანიის ახალ ეტაპს. მოსკოვისა და ლენინგრადის უდიდეს ქარხნებში შესდგა მრავალრიცხოვანი კრებები, სადაც მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მოსამსახურენი აყენებდნენ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს. საქარხნო კოლექტივები უდიდესი აღფრთოვანებით, მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებით ასახელებდნენ კანდიდატებს. ეს იყო მომხიბლავი სანახაობა, როცა ადამიანთა უზარმაზარი მასები, მოვიდნენ რა მუსიკითა და სიმღერით კრებაზე, როგორც სასიხარულო დღესასწაულზე, გულთა და გრძნობათა დიადი მთლიანობით გამსჭვალულნი, ასახელებდნენ კანდიდატებს საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

წინასაარჩევნო კრებები მოსკოვისა და ლენინგრადის ქარხნებში გადაიქცა პარტიისა და მთავრობის ირგვლივ მუშების, მოსამსახურეების, ინტელიგენციის ერთიანობის გრანდიოზულ დემონსტრაციად, სამშობლოსადმი სიყვარულისა და ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების გრანდიოზულ დემონსტრაციად. წინასაარჩევნო კრებები გვიჩვენებენ უმტკიცეს კავშირს კომუნისტებსა და უპარტიოებს შორის, დიდებულ ერთიანობას მუშათა კლასის ავანგარდსა და მუშების, მოსამსახურეების, ინტელიგენციის მასებს შორის. ეს მკაფიოდ გამოიხატა კანდიდატურათა წამოყენების პროცესში.

მოსკოვის კუიბიშევის სახელობის ელექტროკომბინატში ამხანაგ სტალინის კანდიდატურა წამოაყენა უპარტიო მუშა-ქალმა ანა ათანასეს-ასულმა სლავნოვამ. სადღელი კონსტრუქციების ქარხანაში ამხანაგ სტალინის კანდიდატურა წამოაყენა უპარტიო ხარატმა ფედოტოვმა. გაზის ქარხანაში ამხანაგ მოლოტოვის კანდიდატურა წამოაყენა უპარტიო მსხმელმა, ძველმა მუშამ ივანე მათეს-ძე კასკევიჩმა, ხოლო კლარა ცეტკინას სახელობის ფაბრიკაში — უპარტიო მუშა-ქალმა ლეონოვამ.

ვინ არიან ეს აქტივისტები, რომელთა სიტყვები ასე მხურვალედ და მომწოდებლად გაისმოდა მუშათა კრებების ტრიბუნებიდან? ესენი არიან ადამიანები, რომელნიც სოციალისტური რევოლუციის წლებში აღიზარდნენ, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლებამ გამოზარდა, რომელნიც ჩაგრულებიდან გახდნენ თავისუფალნი, შეურაცხყოფილებიდან და დამცირებულებიდან — ბედნიერნი და ამაყნი. ისინი თავისი განახლებული ცხოვრების მთელ ბედნიერებას უნდა უმადლოდნენ ლენინ-სტალინის პარტიას, ისინი ყოველ ნაბიჯზე ჰგრძნობენ საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვას მათზე, — და ისინი, ერთგულებითა და სიყვარულით აღსავსენი, თავიანთ კანდიდატებად ასახელებენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

მოსკოვის ფრუნზეს სახელობის ქარხანაში ძველი მუშა სომოვი თავის სიტყვაში ამბობდა: „ყველაზე მთავარი ის არის, რომ მე დარწმუნებული ვარ ხვალინდელ დღეში. მე ვიცი, რომ ჩემზე ზრუნავს ჩვენი პარტია. მე ვიცი, რომ ჩემზე ზრუნავს ჩვენი საყვარელი მეგობარი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი“.

საბჭოთა ქვეყანაში სომოვები, რომელნიც ისე გრძნობენ თავს, როგორც იგი, რომელნიც აღსავსენი არიან ასეთივე მხურვალე სიყვარულით თავისი პარტიისადმი, თავისი ხელისუფლებისადმი, — მილიონობით არიან! კუიბიშევის სახელობის ელექტროკომბინატის მუშაკთა კრებაზე ინჟინერმა აკიმოვმა მთელი სულითა და გულით, თბილად და მღელვარედ სთქვა:

„მე დიდი სიხარულითა და სიამაყით ვუჭერ მხარს ამხ. სლავნოვას წინადადებას კავშირის საბჭოში ჩვენი პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის წამოყენების შესახებ!

მე ვაყენებ ამ კანდიდატურას იმიტომ, რომ ამხანაგმა სტალინმა, დასდო რა ლენინის გარდაცვალების შემდეგ ფიცი, რომ დაიცავდა ჩვენი პარტიის ერთიანობას, შეასრულა ეს: ჩვენი პარტია დგას სალკლდესავით, რომელზეც იმსხვრევა ტროცკისტებისა და სხვა მტრების ყველა გამოლაშქრება. მე ვაყენებ ამხანაგ სტალინის კანდიდატურას იმიტომ, რომ მან, დასდო რა ფიცი განემტკიცებინა პროლეტარიატის დიქტატურა, ეს ფიცი შეასრულა.

მე ვაყენებ ამხანაგ სტალინის კანდიდატურას იმიტომ, რომ ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგი, და ჩვენ ეს ლოზუნგი შევასრულეთ. მე ვაყენებ ამხანაგ სტალინის კანდიდატურას იმიტომ, რომ ჩვენმა პარტიამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შესძლო დაქსაქსული გლეხური მეურნეობიდან შეექმნა შეძლებული კოლექტიური მეურნეობანი. მე ვაყენებ ამხანაგ სტალინის კანდიდატურას იმიტომ, რომ მან, წამოაყენა რა ჩვენი ქვეყნის თავდაცვა-უნარიანობის განმტკიცების ლოზუნგი, მიაღწია მის შესრულებას. მე ვაყენებ ამხანაგ სტალინის კანდიდატურას იმიტომ, რომ ჩვენ წინათ უბადრუკი არსებობით ვბოგინობდით კაპიტალიზმის უღელქვეშ, ახლა კი ჩვენ თავისუფალი მშრომელები ვართ!“

ინჟინერ აკიმოვის სიტყვა იყო ერთერთი ამ დღის წარმოთქმული შესანიშნავ სიტყვათაგანი, რომლებმაც სრულიად ასახეს ის გრძნობები, რითაც აღგზნებულია მთელი საბჭოთა ხალხი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს კიდით-კიდემდე. აი რა დასწერეს თავის მისასალმებელ დეპეშაში როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშებმა, როცა გაიგეს, რომ ამხანაგი სტალინი წამოყენებულია დეპუტატობის კანდიდატად: „ჩვენ მღელვარებით წავიკითხეთ ანგარიში კუიბიშევის სახელობის ელექტროკომბინატის, ბალაკირევის სახელობის ფაბრიკის მუშებისა და სხვათა კრებების შესახებ, სადაც განიხილავდნენ ამხანაგ სტალინის კანდიდატურას. ჩვენს ხმას ვუერთებთ მათს ხმებს. რომელიმე საარჩევნო ოლქმაც უნდა გაგზავნოს ამხანაგი სტალინი სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში — იგი მთელი მშრომელი ხალხის დელეგატი იქნება“.

მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე მუშათა კოლექტივებმა, დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენებისას, გამოხატეს მხურვალე სიყვარული პარტიისადმი, ურყევი ერთგულება ხალხისა და ქვეყნის ხელმძღვანელებისადმი, გამოიჩინეს თავისი ზრუნვა იმაზე, რომ უზენაეს საბჭოში გაეგზავნათ სახელმწიფო გამოცდილებით გამობრძმედილი ადამიანები.

ამხანაგ სტალინთან, მოლოტოვთან, კალინინთან, ჟდანოვთან ერთად მოსკოვისა და ლენინგრადის საქარხნო კოლექტივებმა დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს პიჩუგინა, წარსულში რიგითი მუშა-ქალი, ახლა კი ქალაქ მოსკოვის ტაგანსკის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, და ამხანაგი სმეტანინი, მოწინავე მუშა-სტახანოველი, ახლა ფაბრიკა „სკოროხოდის“ დირექტორის მოადგილე. ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელთა სახელების შეერთება მშრომელი მასების სიღრმიდან გამოსულ, მთელ ჩვენს ქვეყანაში უკვე განთქმულ ადამიანთა სახელებთან, — კიდევ ერთი ცოცხალი დამამტკიცებელი საბუთია ჩვენი მთავრობის სისხლხორცეული კავშირისა ხალხთან.

პიჩუგინა და სმეტანინი! ისინი აღაგზნო ლენინ-სტალინის პარტიამ, მათ სტახანოვური შრომის ბრძმედში გამოსჭედეს თავისი ნებისყოფა, გამოიწრთეს სული, გახდნენ მუშათა კლასის მოწინავენი. ჩვენი სამშობლოს მზის ქვეშ სწრაფად იზრდება ადამიანთა ნიჭი და ტალანტები. საბჭოთა ქვეყნის ყოველ მოქალაქეს შეუძლია მთლიანად გამოავლინოს თავისი თავი. ყველაფერი ხელს უწყობს ჩვენში იმას, რომ ადამიანი ადვილად ჰპოულობს ბედნიერ გზას ცხოვრებაში. აი რატომ არის, რომ ჩვენში ათასობით და ათეულათასობით არიან სმეტანინები და პიჩუგინები — ხალხის ნიჭიერი, გამრჯელი შვილები, სამშობლოს სახელოვანი პატრიოტები.

ბურჟუაზიულ პარლამენტებში გასასვლელად კენჭს იყრიან ბანკირები, მეფაბრიკეები, მექარხნეები, მიწათმფლობელნი. მაგრად გატენილი ქისის საშუალებით ისინი ანვითარებენ გამხრწნელ საქმიანობას, რისთვისაც ნამცეცებს უწყალობებენ მოსყიდულ პრესას, შეისყიდიან ამომრჩევლებს, ატყუებენ ხალხს. ყოველგვარი უმართლობით ისინი ძვრებიან უმაღლეს მბრძანებელ პოსტებზე სახელმწიფოში, წარმატებით იყენებენ რა ბურჟუაზიულ საარჩევნო კანონმდებლობას, რომელიც მთლიანად მიმართულია იქითკენ, რათა მშრომელი არ მოხვდეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. ხოლო რაკი პარლამენტის სავარძლებს დაიკავებენ, ეს „არჩეულნი“ მთელ თავის გავლენას იყენებენ მმართველი კლასის ანგარებითი მიზნებისათვის, ყოველნაირად განამტკიცებენ კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლებას, აძლიერებენ მშრომელი ხალხის ჩაგვრას. ფაშისტურ ქვეყნებში, სადაც მოსპობილია პარლამენტარიზმის ყოველგვარი ნიშანწყალი, სადაც განუსაზღვრელად ბატონობს მათრახი, ჯოხი და სახრჩობელა, იქ ბურჟუაზია ხალხს „მართავს“ გაშიშვლებული მონათმფლობელური მეთოდებით.

საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ხალხი თვითონ არის თავისი ბედის ბატონპატრონი, სადაც სუფევს ადამიანის პიროვნების პატივისცემა, სადაც ჰაერი გაწმენდილია კაპიტალიზმის მიაზმებისაგან, სადაც იოლად და თავისუფლად სუნთქავს ადამიანი.

წინასაარჩევნო კრებები, რომლებზედაც სწარმოებს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენება, მხოლოდ დაიწყო, მაგრამ უკვე ამჟამადაც პირველი კრებების გამოცდილება გვიჩვენებს კომუნისტებისა და უპარტიოების უაღრესად მტკიცე ერთიანობას, ხალხის მასების მაღალ პატრიოტიზმს, ხალხის უსაზღვრო სიყვარულს თავისი პარტიისა და თავისი მთავრობისადმი.

საბჭოთა ხალხის დიადი ერთიანობა საიმედო გარანტიაა იმისა, რომ უზენაეს საბჭოში წამოაყენებენ, ხოლო შემდეგ კიდევაც აირჩევენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს.

„პრავდის“ მოწინავე, 22 X

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის დამტკიცების შესახებ

დადგენილება

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 37, 38 და 39 მუხლების საფუძველზე საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

დამტკიცდეს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — ვასილ დიმიტრის-ძე **ბუჩიაშვილი** — საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — პლატონ შალვას-ძე **კიკნაძე** — საქართველოს საშუალო და მსუბუქი მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან

რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის მდივანი — სტეფანე სოლომონის-ძე **მამულოვი** — საქართველოს სსრ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრები:

ალექსანდრე იორდანეს-ძე **მირცხულავა** — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირისაგან.

ივანე პეტრეს-ძე **ხეთაგური** — სსრ კავშირის თავდაცვისა და საავიაციო-ქიმიური მშენებლობის ხელშემწყობი საზოგადოების (თავდაცვაავიაქიმი) საქართველოს ცენტრალური საბჭოსაგან.

მიხეილ ფილიმონის-ძე **გოცაძე** — თბილისის ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხნის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ალექსანდრა კონსტანტინეს-ასული **ხუსკივაძე** — საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

სიმონ ივანეს-ძე **ჩიქოვანი** — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისაგან.

ივლიტა დათას-ასული **კალანდია** — აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის სოფელ დრანდის ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ —
საქ. სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის წევრი **გ. სტურუა**

1937 წ. 22 ოქტომბერი
ქ. თბილისი

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

საქართველოს სსრ-დან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 45, 46 და 47 მუხლების საფუძველზე, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ-დან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგ წარმომადგენელთა შემადგენლობით:

სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი № 101

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ილარიონ ნარიკის-ძე ბჟანია** — სოხუმის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **დომენტი ვლადიმერის-ძე ალანია** — სოხუმის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **იული ბორისის-ძე ბოროხოვიჩი** — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის სოხუმის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მიხეილ კონსტანტინეს-ძე დელბა — უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ქალაქ სოხუმის ორგანიზაციისაგან.

დიმიტრი გაჯის-ძე თორია — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციისაგან.

შალვა ბეგლარის-ძე გუგუჩია — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონული ორგანიზაციისაგან.

გრიგოლ ივანეს-ძე ჩუკბარი — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ანტონ გრიგოლის-ძე გიგინეიშვილი — კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფესიული კავშირის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციისაგან.

შაქირ დამეს-ძე ზუხბა — აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „გორპის“ კოლმეურნეთაგან.

თამარ დიმიტრის-ასული ლაბახუა — სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირის ქალაქ სოხუმის ორგანიზაციისაგან.

გრიგოლ ალექსის-ძე გვასალია — აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი № 102

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ვიქტორ იოსების-ძე კუკბა** — ქალ. სოხუმის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **გრიგოლ ალექსანდრეს-ძე მელიქოვი** — სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკთა პროფესიული კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ალექსანდრე გერასიმეს-ძე მიშველაძე** — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ალექსანდრე ბეკოს-ძე ქარდავა — აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი მებოსტნის“ კოლმეურნეთაგან.

გრიგოლ ივანეს-ძე ბებია — სოხუმის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

კონსტანტინე ჯამოს-ძე კვარაცხელია — აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის სოფ. ანასტასიევკის სამომხმარებლო კოოპერაციის საზოგადოებისაგან.

ანდრონიკ არმინაკის-ძე თუმანიანი — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციისაგან.

შოთა ტაშოს-ძე კორტავა — აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „ალახტრას“ კოლმეურნეთაგან.

ბეგლარ ანტონის-ძე მიქავა — აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ალექსანდრე დავითის-ძე ბასილაია — ოჩამჩირის ნავსადგურის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

არსენ ნესტორის-ძე ადამია — სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ფოთის საარჩევნო ოლქი № 103

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **კონსტანტინე გიორგის-ძე ჭიჭინაძე** — ცხაკაიას რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **აკაკი ივანეს-ძე ადანაია** — ფოთის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **შალვა სამსონის-ძე ჩხეტია** — „კოლხიდმშენის“ მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

გრიგოლ ბუხუტის-ძე ჩემია — სენაკის ჯიშიანი მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

მიხეილ მელიტონის-ძე ჩაჩია — ხობის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ქეთინია ნესტორის-ასული იოსავა — ხობის რაიონის სოფ. ბიის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ლიდა ალექსის-ასული აბრამია — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის ხობის რაიონული ორგანიზაციისაგან.

შალვა ივანეს-ძე ბოკუჩავა — აბაშის რაიონის სოფ. საბოკუჩაოს კოლმეურნეობა „ძმობის“ კოლმეურნეთაგან.

ჟუჟუ გარსევანის-ასული გუგუშვილი — ხე-ტყის ხერხვისა და ხის დამუშავების მუშაკთა პროფესიული კავშირის აბაშის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ავქსენტი გიორგის-ძე ქორჩილავა — წყლის ტრანსპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის ფოთის ნავსადგურის ორგანიზაციისაგან.

გაბრიელ ისიდორეს-ძე ქობულია — სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფესიული კავშირის ფოთის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ზუგდიდის საარჩევნო ოლქი № 104

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **გრიგოლ ვლადიმერის-ძე დემურია** — ზუგდიდის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ავქსენტი პავლეს-ძე მარხულია** — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის აფხაზეთის ასსრ გალის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ვარლამ გიორგის-ძე ჯანაშია** — საფინანსო-საბანკო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ნიკოლოზ ნესტორის-ძე რუხაძე — ენგურის ქაღალდის კომბინატის მშენებლობის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

შურა დოროთეს-ასული ფარჯიკია — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ივანე მაჯაბუს-ძე აფშილავა — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის გალის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ხუხა კოწიას-ასული წიკოლია — აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის აჩიგვარის სასოფლო საბჭოს III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

თადეოზ მეძის-ძე ჯლბავა — აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ნაბაკევის ჩაის ფაბრიკის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

გერმანე ბიმურზას-ძე აფრასიძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ზემო-სვანეთის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ბექნუ მესარიონის-ძე ხერგიანი — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ზემო-სვანეთის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ზინა გუძას-ასული კვირაია — ზუგდიდის რაიონის სოფ. ქვითა-წყალის კოლმეურნეობა „ლენინის გზის“ კოლმეურნეთაგან.

გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი № 105

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **კალისტრატე ალექსანდრეს-ძე ფაღავა** — გეგეჭკორის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ნინო იულის-ასული ეძგვერაძე** — წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **შალვა ამბაკოს-ძე დგებუაძე** — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ჩხოროწყუს რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

გრიგოლ დიმიტრის-ძე ხაინდრავა — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის გეგეჭკორის რაიონული ორგანიზაციისაგან.

გიორგი ნიკოლოზის-ძე ხარებავა — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის კოლმეურნეობა „წითელი მეურნის“ კოლმეურნეთაგან.

მავრა ნიკოლოზის-ასული ოკუჯავა — გეგეჭკორის რაიონის სოფ. დიდი-ჭყონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ვლადიმერ ანტონის-ძე ბაჩილავა — აბაშის ჰიდროელექტროსადგურის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ვლადიმერ ანდრიას-ძე ვეკუა — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის წალენჯიხის რაიონული ორგანიზაციისაგან.

გერასიმე იაკობის-ძე კალანდია — წალენჯიხის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ივანე მიხეილის-ძე გულეიშვილი — წულუკიძის რაიონის სოფ. კონტუათის მიხა ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

აკაკი კონსტანტინეს-ძე ჩხენკელი — წულუკიძის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ჩოხატაურის საარჩევნო ოლქი № 106

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ხევერიანე ხარლამპის-ძე გოგუაძე** — ჩოხატაურის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **კარლო ნიკოლოზის-ძე ვასაძე** — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის მახარაძის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ვასილ გრიგოლის-ძე ლომინაძე** — პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის მახარაძის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

დიმიტრი ვასილის-ძე გელაშვილი — მახარაძის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

იოსებ ნესტორის-ძე დათუნაშვილი — მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

მარიამ კირილეს-ასული წიტაიშვილი — მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

იოსებ ივანეს-ძე დოლიძე — ჩოხატაურის რაიონის სოფელ განახლების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ზაქარია ილარიონის-ძე ცენტერაძე — ჩოხატაურის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ნადეჟდა ალექსანდრეს-ასული კეკელიძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მავლუთ ხასანის-ძე ბოლქვაძე — ქობულეთის რაიონის სოფელ ზერაბოსელის მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

თემისტოკლე ივანეს-ძე გონიადი — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ქობულეთის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ბათუმის საარჩევნო ოლქი № 107

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **იოსებ დიმიტრის-ძე კობლამაზაშვილი** — აჭარის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **დურსუნ მელიქის-ძე ფაღავა** — ჩაის და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პროფესიული კავშირის ორთა-ბათუმის ჩაის ფაბრიკის ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ივანე ლუარსაბის-ძე დვალი** — პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული კავშირის აჭარის საოლქო კომიტეტისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

სულეიმან ახმედის-ძე ბასილაძე — აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის ს. მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

მირიან ანტონის-ძე მიქავა — ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ევგენია ალექსანდრეს-ასული ხახუტოვა — ბათუმის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა № 5-ის მუშების, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

აპოლონ გრიგოლის-ძე გეგუჩაძე — „გლავნეფტის“ ბათუმის ბაზის მუშების, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ფატუშა დურსუნის-ასული დუმბაძე — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ბათუმის ორგანიზაციისაგან.

კარლო მელიტონის-ძე ლომაძე — აჭარის საოლქო გაზეთ „ახალგაზრდა ლენინელის“ რედაქციის მუშაკებისაგან.

ალექსი იასონის-ძე სანაკოევი — ადმინისტრატიული დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის აჭარის ორგანიზაციისაგან.

ბაშია მამედის-ძე ბერიძე — აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფ. ზენდიდის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ კოლმეურნეთაგან.

სამტრედიის საარჩევნო ოლქი № 108

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **გიორგი კონსტანტინეს-ძე ახალაძე** — სამტრედიის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ლავრენტი პავლეს-ძე შენგელია** — ამიერკავკასიის რკინიგზების სამტრედიის საორთქმავლო დეპოს მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ტიტე ლუკას-ძე გურგენიძე** — ლანჩხუთის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ქეთო გიორგის-ასული ძიძიშვილი — სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ეთერ დავითის-ასული კომახიძე — სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ კოლმეურნეთაგან.

ვლადიმერ სვიმონის-ძე კოპალეიშვილი — სამტრედიის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშების და მოსამსახურეებისაგან.

ვერა კონსტანტინეს-ასულ ცხალაიშვილი — ლანჩხუთ ნის ლანჩხუთის სასოფ მარებლო კოოპერატიუ დოებისაგან.

იოსებ ბესარიონის-ძე — ლანჩხუთის რაიონის მაღლის კომინტერნის კოლმეურნეობის კოლმ

არტემ ევსევის-ძე საქართველოს ახალგაზ ნინური კომუნისტური ლანჩხუთის რაიონული ციისაგან.

ნინო არქიპოს-ასული დაწყებითი და საშუალ მუშაკთა პროფესიული ვანის რაიონული ორგ გან.

ფედოტ პავლეს-ძე ე სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ვანის რაიონული ორგანიზაციისა საგან.

ზესტაფონის საარჩევნო ოლქი № 109.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **იასონ ალექსანდრეს-ძე გელაშვილი** — ზესტაფონის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ვარ პეტრეს-ძე ხორხომელიძე** — ბა დათის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ვლადიმერ არშაკის-ძე პიპინოვი** — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ჩხარის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ნიკოლოზ ამბროს-ძე კობახ — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციისაგან.

კონსტანტინე დიონოზის-ძე ზარ ნაძე — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ჩხარის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ანა პოლიკარპეს-ასული ქოჩი შვილი — ჩხარის რაიონის სო თერჯოლის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ვლადიმერ ხევახტის-ძე გვალ ხიანი — პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციისაგან.

(დასასრული იხ. 2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

საქართველოს სსრ-დან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

ვალიკო ტარასის-ძე სალაძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ვიქტორ ნიკოლოზის-ძე დარჩია — ზესტაფონის რაიონის სოფ. ფუთის ჯავახოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ზინაიდა სარდიონის-ასული მიქაბერიძე — სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა პროფესიული კავშირის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სიმონ სამსონის-ძე ბაკურაძე — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ბაღდათის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ქუთაისის საარჩევნო ოლქი № 110.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ტიხონ იოსების-ძე რაზმაძე** — სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკთა პროფესიული კავშირის ქუთაისის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **პროკოფი ბარნაბის-ძე ხუნდაძე** — ქუთაისის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **შალვა პარმენის-ძე დოლაძე** — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ქალაქ ქუთაისის ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ეგრაფინა ანტონის-ასული მუშკუდიანი — ქუთაისის რაიონის სოფ. ზეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის" კოლმეურნეთაგან.

ერმილე ბარნაბის-ძე კაპანაძე — ქუთაისის რაიონის სოფ. ოფშკვითის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

იონა ეგნატეს-ძე ხაფავა — საბინაო-კომუნალური მშენებლობის მუშაკთა პროფესიული კავშირის ქალაქ ქუთაისის ჯგუფური კომიტეტისაგან.

შალვა გრიგოლის-ძე ბზიკაძე — ქუთაისის რაიონის გუმბრინის სამუშაოთა მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ნადეჟდა იოსების-ასული გაბედავა — ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ქრისტეფორე ოქროპირის-ძე გონჯაძე — ქუთაისის რაიონის სოფელ ვეგუთის კოლმეურნეობა „ოქტომბრის" კოლმეურნეთაგან.

მარიამ სვიმონის-ასული ელუაშვილი — ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ანტონ ბესარიონის-ძე აბდალაძე — ქუთაისის სარკინიგზო კვანძის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ამბროლაურის საარჩევნო ოლქი № 111.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **დავით ნიკოლოზის-[illegible]ძე** — ამბროლაურის რაიონის [illegible] კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

[illegible] საარჩევნო კომისიის [illegible] მოადგილე **გიორგი [illegible]-ძე ტოგონიძე** — ონის [illegible] კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

[illegible] საარჩევნო კომისიის [illegible] **[illegible] სიმონის-ძე გაბრი[illegible]** — [illegible] პოლიტიკურ-საგანმანათლებლო [illegible] დაწესებულებების მუშაკთა [illegible] კავშირის ტყიბულის [illegible] ორგანიზაციისაგან.

[illegible] საარჩევნო კომისიის [illegible]

[illegible] ამსონის-ასული მურუსიძე — ამბროლაურის რაიონის სოფ. [illegible] კოლმეურნეობა „კომბაინის" კოლმეურნეთაგან.

ალექსანდრე ივანეს-ძე ზაქარეიშვილი — ამბროლაურის რაიონის პროფესიული ორგანიზაციებისაგან.

ლეონტი პოლიკარპეს-ძე კობეშავიძე — ტყიბულქვანახშირის ლენინის სახელობის შახტის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

სპირიდონ გიორგის-ძე მახარობლიძე — ცაგერის რაიონის ორბელის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ავქსენტი ალმასის-ძე გაზდელიანი — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ქვემო-სვანეთის რაიონული ორგანიზაციისაგან.

არჩილ ნიკოლოზის-ძე ბერიშვილი — ონის რაიონის სოფელ სორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

გრიგოლ ნიკოლოზის-ძე გორგიძე — ტყიბულქვანახშირის ლენინის სახელობის შახტის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ნიკოლოზ ესაიას-ძე კერესელიძე — ამბროლაურის რაიონის სოფ. [illegible] კოლმეურნეობა „გლეხის წინსვლის" კოლმეურნეთაგან.

ჭიათურის საარჩევნო ოლქი № 112.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **შალვა იოსების-ძე ბუჯაძე** — სსრ კავშირის სამრეწველო რკინა-მადნეულის მრეწველობის მუშათა პროფესიული კავშირის ჭიათურის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **გიდეონ [illegible]-ძე მეცხვარიშვილი** — [illegible] ამხანაგ სტალინის სახელობის მაღაროს მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ვიქტორ ნიკოლოზის-ძე დევდარიანი** — ორჯონიკიძის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ილია ისაიას-ძე გვენეტაძე — ჭიათურის რაიონის რაიონული გაზეთის „ჭიათურის მაღაროელის" სტამბისა და რედაქციის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ლეონტი მიხეილის-ძე კობახიძე — ჭიათურის რაიონის არგვეთის სასოფლო საბჭოს სოფელ არგვეთის კოლმეურნეობა „ლენინის გზითის" კოლმეურნეთაგან.

გრიგოლ ელიზბარის-ძე შატბერაშვილი — საფინანსო და საბანკო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ჭიათურის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ვენერა ივანეს-ასული ლომიძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის ჭიათურის რაიონული ორგანიზაციისაგან.

შალვა ვიქტორის-ძე ახვლედიანი — ჭიათურის დიმიტროვის სახელობის გამაუხეშებითი ფაბრიკის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

დავით ირაკლის-ძე გაბრიაძე — პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ილია დავითის-ძე გოგოლაძე — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ვლადიმერ ივანეს-ძე გელაშვილი — ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ლაშის კოლმეურნეობა „იმედის" კოლმეურნეთაგან.

ხაშურის საარჩევნო ოლქი № 113.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ელენე გიორგის-ასული მელაძე** — ხაშურის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **იროდიონ პავლეს-ძე ელიზბარაშვილი** — პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ბორჯომის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **მოსე მაქსიმეს-ძე ნოზაძე** — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

სოკრატ ზაქარიას-ძე გათაშვილი — აგარის შაქრის ქარხნის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

მიხეილ გრიგოლის-ძე ჯავახიშვილი — ხაშურის რაიონის აგარის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

თამარ ალექსის-ასული ჯავახიძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის ბორჯომის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სერგი პარმენის-ძე კურტანიძე — ხაშურის ბერიას სახელობის ელექტრომავალთა დეპოს მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

არჩილ სოლომონის-ძე რევაზიშვილი — ბორჯომის შუშის ქარხნის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ტატიანა ერემიას-ასული ჟვანია — სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფესიული კავშირის ბორჯომის რაიონული ორგანიზაციისაგან.

თომა ალექსანდრეს-ძე ბაკაევი — ბორჯომის რაიონის აიდარის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ტარიელ ივანეს-ძე მელიქაძე — ბორჯომის რაიონის სოფელ ბალანთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ახალციხის საარჩევნო ოლქი № 114

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **გიორგი სერგის-ძე რუხაძე** — პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ახალციხის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **აბას რიზას-ძე აგაევი** — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის ახალციხის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **შალვა დიმიტრის-ძე ჟვანია** — № ლეგიონის წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ზაქარე მამიკონის-ძე პაპიკიანი — ახალციხის რაიონის სოფელ ჯულგას დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

შაან ქიამილ-ოღლი ალიევი — ახალციხის რაიონის სოფ. ცურტკეტის კოლმეურნეობა „ენი-აიათის" კოლმეურნეთაგან.

ზაანა იდრის-ყიზი — პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ადიგენის რაიონული ორგანიზაციისაგან

ჯუმშუდ ტაგის-ძე ტაგიევი — ასპინძის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ტიტე ლევანის-ძე ქუმბურიძე — ადიგენის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ფაიკ ნაჯიბ-ოღლი — ადიგენის რაიონის სოფელ ზანავის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" კოლმეურნეთაგან.

ფარზალი ტამოს-ძე მაზმანოვი — ასპინძის რაიონის სოფელ სეთის, ოთინის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ლევან იაკობის-ძე ველიჯანაშვილი — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის ასპინძის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ახალქალაქის საარჩევნო ოლქი № 115

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **რუბენ არაქელის-ძე აპეტისოვი** — ახალქალაქის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **არტემ გიორგის-ძე კირაკოსოვი** — ბოგდანოვსკის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ალექსანდრე ლონგინოზის-ძე ზარიძე** — საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფესიული კავშირის ახალქალაქის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

გიორგი ზაქარიას-ძე ერმიშიანი — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის ახალქალაქის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მუგდათ სულეიმან-ოღლი — ახალქალაქის რაიონის სოფელ კარცეპის კოლმეურნეობა „წითელი მხვნელის" კოლმეურნეთაგან.

მიხეილ დავითის-ძე დაუევი — № სანაპირო რაზმის წითელარმიელებისა, მეთაურებისა და პოლიტიკური მუშაკებისაგან.

თედორე ნიკოლოზის-ძე ბორცოვი — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ გორელოვკის ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ალექსანდრე აბრამის-ძე გევორქიანი — ბოგდანოვკის რაიონის სასოფლო სამომხმარებლო კოოპერაციისაგან.

აგათანგელ მიხეილის-ძე ჩამურლიევი — წალკის რაიონის სოფელ გუნია-კალის კოლმეურნეთაგან.

ალექსი ოჰანეზის-ძე ვოსკანიანი — წალკის რაიონის სოფელ ყიზილ-კილისის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

სიმონ იოსების-ძე შავგულიძე — ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

გორის საარჩევნო ოლქი № 116

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ივლიანე შარვანის-ძე ზედანია** — სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკთა პროფესიული კავშირის გორის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **იოსებ ალექსანდრეს-ძე პაპიაშვილი** — კასპის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ესტატე გიორგის-ძე თომაშვილი** — გორის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ელისაბედ პეტრეს-ასული კუსრაშვილი — გორის საკონსერვო ქარხნის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

სუსანა მანუკის-ასული ალექსანიანი — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის გორის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ილია მიხეილის-ძე ჩუბინიძე — კასპის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

მარიამ ზაქარიას-ასული ბეგლარაშვილი — კასპის რაიონის სოფელ დოესის კოლმეურნეობა „შრომის სხივის" კოლმეურნეთაგან.

ივანე ესტატეს-ძე გეჯაძე — კასპის ცემენტის ქარხნის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

მიხეილ მიხეილის-ძე ძიძიგური — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციისაგან.

კონსტანტინე პავლეს-ძე აბალაკი — გორის რაიონის სოფელ ბერბუკის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ივანე გაბრიელის-ძე მელიქიშვილი — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის გორის რაიონის ორგანიზაციისაგან.

სტალინირის საარჩევნო ოლქი № 117

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ლევანის-ძე სურგულაძე** — სამხრეთ-ოსეთის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **სიმონ გრიგოლის-ძე თიბილოვი** — საკონსერვო მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის სამხრეთ-ოსეთის საოლქო ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **პეტრე ბაგრატის-ძე ქერქაძე** — პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის სამხრეთ-ოსეთის საოლქო ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ნატალია სიმონის-ასული კელეხსაევა — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციისაგან.

კონსტანტინე პეტრეს-ძე გასიევი — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფელ ბუზალის ქ. ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

პლატონ გიგას-ძე მაკიევი — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

დარო იოსების-ასული მინდიაშვილი — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ალექსანდრე სიმონის-ძე ჯანაევი — სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფესიული კავშირის სამხრეთ-ოსეთის საოლქო ორგანიზაციისაგან.

ანტონ ვასილის-ძე თიბილოვი — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის სამხრეთ-ოსეთის საოლქო ორგანიზაციისაგან.

ხარიტონ ტიმოთეს-ძე გაძაევი — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის მტს-ის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

გერსან გრიგოლის-ძე კულუმბეგოვი — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო გამომცემლობის სტამბის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

თბილისის—ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი № 118

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **სერგო ამბაკოს-ძე მელაძე** — ქალ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **არჩილ დავითის-ძე კოლხიდაშვილი** — ალბულაღის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **გრიგოლ ნიკიფორეს-ძე გაბისონია** — ქალ. უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის კავშირის ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ნინო ესტატეს-ასული გენებაშვილი — თბილისის მაუდის ფაბრიკის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

კონსტანტინე გიორგის-ძე როყუა — საქართველოს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

რომან ვასილის-ძე ზაუტაშვილი — თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის პროფესორებისა, მასწავლებლებისა, სტუდენტებისა, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ალექსანდრა მელიტონის-ასული კენჭაძე — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ორგანიზაციისაგან.

არჩილ კირილეს-ძე ხარაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისა, მასწავლებლებისა, მეცნიერ მუშაკებისა, სტუდენტებისა, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

არტემ გეურქის-ძე მიკირტუმაშვილი — ალბულაღის რაიონის ასურეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

გრიგოლ ბაგრატის-ძე დანელიანი — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ალბულაღის რაიონის ორგანიზაციისაგან.

იოსებ ზაქარიას-ძე ჩომახიშვილი — ალბულაღის რაიონის სოფელ გოუბნის ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

თბილისის საქალაქო საარჩევნო ოლქი № 119

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე იაკობის-ძე ზიბზიბაძე** — ქალ. თბილისის კიროვის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ალექსანდრე მათეს-ძე ბუთხუზი** — მცხეთის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ნიკოლოზ სტეფანეს-ძე მელიქიშვილი** — თბილისის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: **ნიკოლოზ გიორგის-ძე გალუსტოვი** — საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

ზოია აბასის-ასული ბაგიროვა — საქართველოს სკოლამდე აღზრდის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

კარაპეტ ალექსის-ძე ბუნიატოვი — თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ცები ბენიამინის-ძე დათიკაშვილი — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის კიროვის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ვარლამ მიხეილის-ძე ძიძიგური — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის კიროვის რაიონის ორგანიზაციისაგან.

ოლღა გიორგის-ასული მესტვირიშვილი — თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

მარიამ ალექსანდრეს-ასული აბრამიშვილი — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის თბილისის რაიონის ორგანიზაციისაგან.

ვასილ ისაკის-ძე კობიაშვილი — თბილისის რაიონის სოფელ დიდი ლილოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქი № 120

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ივანე ერმალოზის-ძე მახარაძე** — ქალ. თბილისის სტალინის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ჩახალ ყარიბ-ოღლი ხუციევი** — [illegible] რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ვასილ ქრისტეფორეს-ძე როთველიაშვილი** — თბილისის ავტოსკოლის მსმენელებისა და მასწავლებლებისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ნადეჟდა ერასტის-ასული ზარქუა — თბილისის საბჭოთა საქართველოს სახელობის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან

ვალერიან ალექსის-ძე კოხრეიძე — თბილისის ტრამვაის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ალექსი მიხეილის-ძე ლეკსუტკინი — თბილისის ამხ. კალინინის სახელობის ქარხნის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

გარეგინ ივანეს-ძე პეტროსიანი — თბილისის თამბაქოს ფაბრიკის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ფაშა მამედის-ძე ყარანი-ზადე — ლუქსემბურგის რაიონის სოფელ აკაურტის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

რეინჰოლდ ჰენრიხის-ძე კრომერი — ლუქსემბურგის რაიონის სოფელ ლუქსემბურგის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ნუბარ მამედ-ყიზი ბაგიროვა — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ბაშკიჩეთის რაიონული ორგანიზაციისაგან.

თამარ დავითის-ასული მაისურაძე — თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

თბილისის 26 კომუნარის სახ. საარჩევნო ოლქი № 121

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **სურენ გრიგოლის-ძე ქამალიანი** — ქალ. თბილისის 26 კომუნარის სახ. რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **მამედ გოჯა-ოღლი გულიევი** — ბორჩალოს რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ივანე სარდიონის-ძე სურმავა** — თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

სონა ილარიონის-ასული ჩაფიძე — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის 26 კომუნარის სახ. რაიონის ორგანიზაციისაგან.

ქეთევან გრიგოლის-ასული ნასიძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის ქ. თბილისის 26 კომუნარის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ნიკოლოზ იაკობის-ძე გერმისაშვილი — თბილისის ორჯონიკიძის სახ. მანქანათმშენებელი ქარხნის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ვალერიან ანდრიას-ძე ობოლაძე — ცალკე საკავშირო ათასეულის წითელარმიელებისა, მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისაგან.

გრიგოლ პოლოსის-ძე დულიანი — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ბორჩალოს რაიონის ორგანიზაციისაგან.

მამედ მუსაევი — ბორჩალოს რაიონის სოფელ კაჩაგანის კოლმეურნეობა „სოციალიზმის" კოლმეურნეთაგან.

ფატმან ისა-ყიზი — ბორჩალოს რაიონის სოფელ კურტლიარის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ჰასან ფაშა-ოღლი ჯავადი — ბორჩალოს რაიონის სოფელ ილმაზლოს ამხ. ბერიას სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

თბილისის—ლენინის საარჩევნო ოლქი № 122

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ილიას-ძე ცქიტიშვილი** — თბილისის ლენინის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ალექსი პეტრეს-ძე ზაკომოლდინი** — თბილისის 26 კომუნარის სახ. ქარხნის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **შალვა დიმიტრის-ძე ნუცუბიძე** — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ლენინის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მარიამ ივანეს-ასული ბურჭულაძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის ქ. თბილისის ლენინის რაიონული ორგანიზაციისაგან.

დავით პოლიკარპეს-ძე სიმონიძე — ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ნინო ალექსის-ასული ცოტნიაშვილი — თბილისის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ნიკოლოზ პავლეს-ძე ინაშვილი — ყაზბეგის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

მარო თადეოზის-ასული ზინუაშვილი — დუშეთის რაიონის სოფელ მჭადიჯვარის სტალინის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

სიმონ ალექსის-ძე რუბაშვილი — დუშეთის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

შაქრო ნიკოლოზის-ძე გუჯარაიძე — ყაზბეგის რაიონის ანდეზიტის სამუშაოთა მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ვასილ ივანეს-ძე როსტიაშვილი — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ლენინის რაიონის ორგანიზაციისაგან.

თელავის საარჩევნო ოლქი № 123

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **თედო ფირუზას-ძე შამიაშვილი** — თელავის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ილია ნიკოლოზის-ძე სისაური** — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის თიანეთის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **შოთა იორდანეს-ძე გაფრინდაშვილი** — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ყვარლის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ნინო ბარდას-ასული ნონიაშვილი — თელავის რაიონის სოფელ სანიორეს კოლმეურნეობა „1 მაისის" კოლმეურნეთაგან.

მიტო პავლეს-ძე გიგოლაშვილი — თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ერმალოზ დიმიტრის-ძე ჩიკვილაძე — თელავის რაიონის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ბეგლარ ალექსანდრეს-ძე ახვლედიანი — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის თელავის რაიონის ორგანიზაციისაგან.

ტიმოთე გიორგის-ძე ჭინჭარაული — თიანეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ანეტა ზაქარიას-ასული ზაუტაშვილი — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის ყვარლის რაიონული ორგანიზაციისაგან.

აბრამ გიორგის-ძე ზვიადაური — თიანეთის რაიონის სოფელ ალოდის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

არსენ სოლომონის-ძე ფირანაშვილი — ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი წყაროს" კოლმეურნეთაგან.

სიღნაღის საარჩევნო ოლქი № 124

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **არჩილ ილიას-ძე ყუფარაშვილი** — სიღნაღის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ზაქარია ილარიონის-ძე კიკნაძე** — ლაგოდეხის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **გიორგი აბრამის-ძე გოძიაშვილი** — სასამართლოს და პროკურატურის მუშაკთა პროფესიული კავშირის სიღნაღის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ქვაჭანტირაძე — საქნავთის სიღნაღის რაიონის მირზაანის სარეწაოს მუშებისა, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

ალექსი ილიას-ძე კოპლამაზაშვილი — სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

პავლე ვასილის-ძე ნადირაძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის სიღნაღის რაიონული ორგანიზაციისაგან.

დავით ილიას-ძე ბატიაშვილი — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ლაგოდეხის რაიონის ორგანიზაციისაგან.

ვარო ალექსის-ასული ლვინიაშვილი — ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „შრომის" კოლმეურნეთაგან.

ბესარიონ დიმიტრის-ძე დანგაძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ლაგოდეხის რაიონული ორგანიზაციისაგან.

შალვა მიხეილის-ძე ფუფხაძე — ნავთის მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის სიღნაღის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მიხეილ მოსეს-ძე იოსებაშვილი — ლაგოდეხის რაიონის ამხ. ვ. სტურუას სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

გურჯაანის საარჩევნო ოლქი № 125

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხულხანის-ძე დარაშვილი** — გურჯაანის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ტიგრან ალექსანდრეს-ძე ბეგლარაშვილი** — გურჯაანის სარკინიგზო კვანძის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ჯიშკარიანი** — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის გურჯაანის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ქარუმ მიხეილის-ძე ზავრაშვილი — გურჯაანის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ალექსანდრე დავითის-ძე ფილაური — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის საგარეჯოს რაიონის ორგანიზაციისაგან.

ვიქტორ ერმილეს-ძე კობახიძე — გურჯაანის რაიონის [illegible] სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ლევან ესტატეს-ძე როსტიაშვილი — საგარეჯოს რაიონის ლ. ბერიას სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

ალექსანდრე თომას-ძე იახონოვი — ყარაიას რაიონის ულიანოვკის სოფლსაბჭოს კოლმეურნეობა „ნაპერწკლის" კოლმეურნეთაგან.

ფირალი ნურალი-ოღლი ალიევი — ყარაიას რაიონის ჯანდარის სოფლსაბჭოს სტალინის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნეთაგან.

დავით ნიკოლოზის-ძე თედიაშვილი — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციისაგან.

გრიგოლ ალექსანდრეს-ძე უშვერიძე — სამედიცინო სანიტარული შრომის მუშაკთა პროფესიული კავშირის ყარაიას რაიონული ორგანიზაციისაგან.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**
საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მოვალეობათა აღმსრულებელი
ვ. ბუჯიაშვილი

დადგენილება

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ამხ. გ. ა. გოჩაშვილის საქართველოს სსრ ცაკ-ის მდივნის მოვალეობათა აღმსრულებლის სამუშაოსაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიადგენს:

ამხ. გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩაშვილი განთავისუფლებულ იქნას საქართველოს სსრ ცაკ-ის მდივნის მოვალეობათა აღმსრულებლის სამუშაოსაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივნის მაგიერ — საქ. სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის წევრი **გ. სტურუა.**
1937 წ. 22 ოქტომბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ამხ. ვ. დ. ბუჯიაშვილის საქართველოს სსრ ცაკ-ის მდივნის მოვალეობათა აღმსრულებლად დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნას ამხ. ვასილ დიმიტრის-ძე ბუჯიაშვილი საქართველოს სსრ ცაკ-ის მდივნის მოვალეობათა აღმსრულებლად.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივნის მაგიერ — საქ. სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის წევრი **გ. სტურუა.**
1937 წ. 22 ოქტომბერი.

მტკიცედ დავიცვათ მცენარეთა კარანტინი

მცენარეთა კარანტინის დანიშნულებაა შეამოწმოს სხვა რესპუბლიკებიდან ან რაიონებიდან შემოტანილი ან გასაგზავნი ყოველგვარი ნერგი და თესლი, რათა თავიდან იქნას აცილებული მცენარეთა დაავადება და მინდვრის მავნებლების გავრცელება.

აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის პროცესზე ნათლად გამოირკვა, თუ როგორ ცდილობდნენ ხალხის მტრები ამ მიმართულებით ლახვარი ჩაეცათ აჭარის სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის.

ბათუმის რაიონის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომებმა მავნებლობის მიზნით სანამყენე კალმები მოაჭრეს არა აპრობირებულ ნარინჯოვანთა ხეებს და კარანტინის ნებადაურთველად გადაგზავნეს სხვა მეურნეობაში. კარანტინის ნებადაურთველად კალმები გასცეს ქობულეთის რაიონის ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობამ და ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ. ხალხის მტრებს ამ ბოროტი ზრახვების განხორციელებაში ხელს უწყობდა რკინიგზის ზოგიერთი თანამშრომელი. გამოირკვა, რომ ნატანების (მახარაძის რაიონი) რკინიგზის სადგური სისტემატიურად უნებართვოდ ღებულობდა გასაგზავნ ნარინჯოვანთა სანამყენე კალმებს.

აჭარის მცენარეთა კარანტინის მიერ გაწეული საცდელი მუშაობით დადასტურდა, რომ მავნებლებთან ბრძოლის მეთოდებიდან საყურადღებოა მცენარეთა ფუმიგაცია, რომელიც იძლევა მცენარეთა მავნებლების მაქსიმალურ სიკვდილიანობას და ამავე დროს აჩქარებს მცენარის ზრდას. ამ მეთოდის ფართოდ დანერგვად აჭარის მიწსახკომი სუსტად მუშაობს.

საჭიროა მიწსახკომმა აღრიცხვაზე აიყვანოს ყველა დაზიანებული ფართობი და 1937 წ. მოსავლის აღებისთანავე დაიწყოს ციტრუსოვან კულტურათა მასობრივი ფუმიგაცია.

აჭარაში წიპწოვან და კურკოვან კულტურებზე გავრცელებულია მავნებელი „ფარიანი", რომლის მოსასპობად წელს უნდა ჩატარდეს მთელი რიგი ღონისძიებანი. მაგრამ სამიწათმოქმედო ორგანოებს ამ მხრივ სათანადო მუშაობა ჯერ კიდევ არ გაუშლიათ.

მცენარეთა კარანტინის მიერ გამომუშავებულია მავნებლებთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი, ამ მეთოდის ფართოდ დანერგვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მაგრამ ამას ვერ ვხედავთ.

აჭარის კარანტინის ინსპექციასა და ლაბორატორიას თავის მუშაობაში მიღწევებთან ერთად აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანიც, რაც დაჩქარებით წესით უნდა გამოსწორდეს. მცენარეთა კარანტინი სხვადასხვა ოპერატიულ სამუშაოებთან ერთად მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებებსაც ამუშავებს. ამ საკითხებზე მცენარეთა კარანტინის მუშაკებს არცერთი შრომა არ დაუწერიათ, წლის ბოლოს იწერება მშრალი ანგარიში და საქმე ამით თავდება.

ძალიან სუსტად არის დაყენებული საკარანტინო ობიექტების ლიკვიდაციის საქმე. მაგალითად, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ახალი ზელანდიის სელზე გავრცელებულია მავნებელი—ნაცრისფერი ფარიანა. ამ მავნებლის ლიკვიდაციაზე მესამე წელია ლაპარაკი სწარმოებს, პრაქტიკულად კი არაფერი გაკეთებულა. სუსტად არის დაყენებული მუშაობა აჭარაში გავრცელებული სარეველა ბალახების შესწავლა-გამოკვლევის დარგში, აქ არ მოეპოვებათ გავრცელებული სარეველა ბალახების ზუსტი სიაც კი.

მცენარეთა კარანტინის წესების ზუსტად განხორციელებას ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი აგროპერსონალმა, სატრანსპორტო დარგის მუშაკებმა და ყველა პატიოსანმა მშრომელმა, რათა ურყევად დავიცვათ სოციალიზმის ქვეყნის ტერიტორია მავნებელთა და ავადმყოფობათა გავრცელებისაგან.

გ. იაშვილი.

თელავი. რთველი წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში.

სურათზე: ყურძნის საუკეთესო მკრეფავი ისაკ ოსიტაშვილი და მისი შვილი ვანო

ფოტო ტორისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

იზრდება სტახანოველთა რიგები

წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ ხაშურის ელდეპოს პერიოდული შემკეთებელი საამქროს თითოეული მუშა შრომის ენთუზიაზმმა მოიცვა.

ჩემს ბრიგადაში იმატა სტახანოველთა რიცხვმა. 50 მუშიდან ამჟამად საამქროში გვყავს 26 სტახანოველი და 3 დამკვრელი.

სტახანოველები სასახელოდ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. გრიშა ლაცაბიძემ ამ მხრივ ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოგვცა. 3 ოქტომბერს მან დღიური შრომის ნაყოფიერება გაზარდა 455,7 პროცენტით და ნაცვლად 7 მანეთისა და 85 კაპიკისა გამოიმუშავა 51 მანეთი და 67 კაპ. მას არ ჩამოუვარდება საუკეთესო სტახანოველი ზეინკალი მ. ხაჩიძე, რომელმაც 7 ოქტომბერს დღიური გეგმა 241 პროც. შეასრულა.

წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმისას ჩვენმა სტახანოველებმა იკისრეს ვალდებულება დაეხმარონ დამკვრელებს და გახადონ ისინი სტახანოველებად. სტახანოველები თავიანთი მუშაობის გამოცდილებას უზიარებენ სხვა მემანქანეებს.

პირადად მე მომაგრებული მყვანან ახალგაზრდა მუშები ალ. ქართველიშვილი და ვ. გარჩილაძე, რომლებთანაც სისტემატიურად ვატარებ საუბრებს სტახანოვური მუშაობის შესახებ, ვუზიარებ მათ ჩემს გამოცდილებას.

ჩვენს საამქროში ფართოდაა გაშლილი ინდივიდუალური, ჯგუფური და ბრიგადული შეჯიბრება. მე შეჯიბრებაში გამოვიწვიე მექანიკური საამქროს ბრიგადირი გ. სუდაძე.

თითოეული ჩვენგანი გულმოდგინედ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, ცდილობს სწრაფად და მაღალი ხარისხით იმუშაოს... და ამით სოცშეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდეს. ჩვენთან გასულ თვეებში ადგილი ჰქონდა წუნს, ელმავლის სათანადო ნაწილების უსუფთაოდ დატოვებას, რასაც სოცშეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ სავსებით ეღება ბოლო.

შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ ჩემი მუშაობის ხარისხი უფრო ავამაღლე. ყოველდღიურ გეგმას 250 პროცენტით ვასრულებ. ასევე წარმატებით მუშაობს ჩვენი საამქროს მეორე ბრიგადირი ამხ. ზარბაქაძე. მან გასული თვის გეგმა 255 პროცენტით შეასრულა.

რაც უფრო თავდადებით ვმუშაობთ, მით უფრო იზრდება ჩვენი ხელფასი, უმჯობესდება ჩვენი ყოფაცხოვრება. მაგალითად, სექტემბერში ნაცვლად 301 მანეთისა მივიღე 800 მანეთი, ხოლო ამ თვეში მოველი 1000 მანეთზე მეტს.

ივანე ქურდაძე.

ხაშურის ელდეპოს სტახანოველი ბრიგადირი.

წლიური გეგმა 8 თვეში შეასრულეს

თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის ცალკეული სტახანოველები დიდი წარმატებით ხვდებიან დიადი ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავს. ახალგაზრდა სტახანოველმა გოგი ხანიაშვილმა წლიური გეგმა პირველი აგვისტოსათვის 100,4 პროცენტით შეასრულა, არამ ჩარინიანმა — 144,3 პროცენტით.

პირველ აგვისტომდე წლიური გეგმა ასევე გადაჭარბებით შეასრულეს ნინა დავითაშვილმა — 101,9 პროცენტით, აიკანუშ დავითიანმა—136-ით, არევაზ დოხიკიანმა — 118,7-ით, ივანე წვენიევმა—130-ით, ოლღა მესტვირიშვილმა — 114-ით, ნიკო მემმარიაშვილმა—114,9-ით. ეს სტახანოველები მარტო ამით როდი დაკმაყოფილდნენ. ისინი ჩაბმული არიან წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში და უფრო მაღალი მაჩვენებლებისათვის იბრძვიან.

შ. ქაფიანიძე.

მუშაობის კარგი ნიმუში

კომკავშირელი ბოჩო კვარაცხელია სოფ. წალენჯიხის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრია. იგი პირველ ხანებში დამკვრელი იყო. ახლა კი მოწინავე სტახანოველის სახელს ატარებს.

ბოჩო, რომელმაც გაზეთის საშუალებით შეისწავლა ცნობილი მეთამბაქოე სტახანოველის—ბოსტანჯიანის (აფხაზეთი) მუშაობის მეთოდები, წელს დღიურად 74 ზონარმეტრ თამბაქოს აცვამდა და ნორმას ექვსმაგად ასრულებდა. ბოჩომ კოლმეურნეობის მრავალ წევრს შეასწავლა ის მეთოდი, რომლითაც იგი ახერხებდა ნორმების გადაჭარბებას. ასეთები არიან ჯოტო კვარაცხელია, გრიშა ზარქუა, შალვა კვარაცხელია, ლ. მიქავა და სხვები.

ბოჩო მარტო თამბაქოს ანემსვაში როდი იჩენს უნარს: იგი სხვა სახის სამუშაოს ნორმებსაც გადაჭარბებით ასრულებს. მაგალითად, წელს ნორმით გათვალისწინებული 500 კვადრატული მეტრის ნაცვლად თამბაქო დარგო 3.000 კვადრატულ მეტრზე და დღეში 9 შრომადღე გამოიმუშავა. ნორმით გათვალისწინებული 4 კილოგრამის ნაცვლად იგი 29 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფდა და გეგმას 725 პროცენტით ასრულებდა.

როგორ მიაღწია ბოჩო კვარაცხელიამ ამ წარმატებას?

თამბაქოს ფოთლის მეტეხას თვითონ აწარმოებს და მეტეხისას ახარისხებს; ამავე დროს ფოთლებს ისე აწყობს, რომ ანემსვის დროს მათი ხელმეორედ დალაგება აღარ სჭირდება. ნემსი კი ისე უჭირავს, რომ საშუალება აქვს ორივე ხელი თავისუფლად ამოძრაოს და ერთსა და იმავე დროს ანემსოს 10-12 ფოთოლი.

ბოჩო ამჟამად მე-8 კლასში სწავლობს, ამავე დროს სკოლის სასულე ორკესტრში ნიჭიერი კლარნეტისტია. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მას ჯეროვან ყურადღებას აქცევენ და ხელს უწყობენ. თამბაქოს სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის იგი სტახანოველთა სარაიონო შეკრებაზე პატეფონით დააჯილდოვეს.

წალენჯიხელ ბოსტანჯიანს—ბოჩო კვარაცხელიას ამჟამად 307 შრომადღე აქვს გამომუშავებული.

გ. ჩოჩია.

სტახანოველები საორთქმავლო დეპოდან

ბორჯომის საორთქმავლო დეპოს დამკვრელები და სტახანოველები გაცხოველებით ემზადებიან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის. მათ 8 თვის გეგმა შეასრულეს 123 პროცენტით და სათბობი მასალის ხარჯი გეგმასთან შედარებით შეამცირეს 8 პროცენტით, გაადიდეს მოძრაობის სისწრაფე და ამ ხნის განმავლობაში 99,4 ათასი კილომეტრის ნაცვლად 150 ათასი კილომეტრი გაირბინეს.

საორთქმავლო დეპოს მუშამოსამსახურეთაგან სტახანოველია 59 და დამკვრელი—14. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან: სოსო ტინტიკაშვილი, რომელმაც მეორე კვარტალის გეგმა 169 პროცენტით შეასრულა, ონისიმე მაისურაძე, პავლე შუბითიძე და სხვ.

დეპოელები კისრულობენ ახალ ვალდებულებებს. მემანქანე პ. ვიბორნოვმა იკისრა ორთქმავლის გარეცხვიდან გარეცხვამდე 2,5 ათასი კილომეტრის ნაცვლად 10 ათასი კილომეტრის გარბენა და შეჯიბრებაში გამოიწვია გრიგოლ გომართელი, ხოლო მემანქანე გ. ფეიქრიშვილმა იკისრა 20 ათასი კილომეტრის გარბენა.

ბორჯომის საორთქმავლო დეპოს დამკვრელებმა და სტახანოველებმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს გურჯაანის საორთქმავლო დეპოს მუშები. ბორჯომელები დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

შ. ხუციშვილი.

ბრძანება და სინამდვილ

შეხვალთ თუ არა ჭიათურაში, თქვენს ყურადღებას იპყრობს, უპირველეს ყოვლისა, სადგურის წინ ესტაკადასთან დაყრილი, გარეცხილი მარგანეცის მთები. გაჰყვებით ზემოთ ლიანდაგს და ყველგან, მადნის გამამდიდრებელი ქარხნების წინ, რკინიგზის ბაქნებზე, სადაც ვაგონებში მადნის დატვირთვა ხდება, ქვის ზვინებია დადგმული...

აშკარაა, რომ რკინიგზა ვერ ასწრებს მადნის გაზიდვას, ვერ ასრულებს მარგანეცის გაზიდვის გეგმას. მაშ საიდან დაგროვდა ამდენი მადანი!

მართლაც ასეა:

მარგანეცის ტრესტის ცნობით, არც აგვისტოში და არც სექტემბერში რკინიგზას არ შეუსრულებია დავალება მადნის გაზიდვის დარგში. ასევე გრძელდება ოქტომბერშიაც. აგვისტოში გზამ ტრესტს დააკლო 1823, სექტემბერში 3798 და ოქტომბრის 17 დღის განმავლობაში—1830 ვაგონი.

რკინიგზის ასეთი ყოვლად უმსგავსო მუშაობა ძლიერ აფერხებს ტრესტის მუშაობას. იგი ვერ ასრულებს მადნის ვერც ექსპორტისა და ვერც შინაბაზრის უზრუნველყოფის გეგმებს.

ცხრა თვის განმავლობაში ექსპორტის გეგმა შესრულებულია 96,1 პროცენტით, შინაბაზრებისათვის მადნის მიწოდებისა — 62 პროცენტით.

ამჟამად რკინიგზის ბაქნებზე 180 ათას ტონაზე მეტი გაუზიდავი მადანი ჰყრია. ბაქნები ავსილია მადნით, აღარ არის საშუალება ახალი მადნის კიდევ დაყრისა, რის გამო ხშირად იძულებული ხდებიან ქარხნები 2—3 საათით გააჩერონ.

ჩვეულებრივად, რკინიგზის ბაქნებზე არცერთი ტონა მარგანეცი არ უნდა იყრებოდეს, იგი პირდაპირ ვაგონებში უნდა იტვირთებოდეს, მაგრამ, რადგანაც რკინიგზის უხეირო მუშაობით ეს დღეს შეუძლებელი ხდება, მადანს ჯერ მიწაზე ჰყრიან და შემდეგ ნიჩბებით ტვირთავენ ვაგონებში. ეს კი მადნის თვითღირებულებას აძვირებს. თითო ტონის ხელით დატვირთვა 1 მანეთი ჯდება, ამასთან ეცემა მადნის ხარისხიც საექსპორტო და საშინაბაზრო მადნის ერთმანეთში არევისა და მასში ჯიშის შერევის გამო.

ამას თუ იმასაც მივუმატებთ, რომ მარგანეცის ვაგონები ყოვლად უვარგისია: ბუქსები არ ვარგა და ამის გამო ხშირია ვაგონების გზაში მოხსნა ბუქსების წვის გამო, ძარები დამტვრეულია და მადანს ვერ იჭერს, რის გამო ჭიათურის მთელ შტოზე დიდძალი ქვა იბნევა, სავსებით აშკარა გახდება ის ზიანი, რომელსაც მარგანეცის მეურნეობას და [illegible] ჩვენს [illegible]ისტუ [illegible] ა.-კ. რკინიგზის უმ [illegible] უდარდელი მუშაობა აყენ [illegible] თუ არა უდარდელობით, მა უნდა აიხსნას ის, რომ ა.-კ. გზას აქამდე არ შეუსრულებ ქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრა დ კომიტეტის დავალება 20 აგვ სათვის მარგანეცის ვაგონების კის 100 ახალი ვაგონით გაძლიე ბის შესახებ. სინამდვილეში გა თეს 5 ვაგონი და აქედანაც 2 მა გაფუჭდა. ერთი სიტყვით, განეცის ვაგონების პარკი სავა ლო მდგომარეობაშია.

გზის მუშაკთა უდარდელობას უნდა მიეწეროს დატვირთვის ქვე ვაგონების მოცდენის დროის შე ცირების შესახებ ცენტრალური კომიტეტის მეორე დავალების შეუსრულებლობა. ამ მიზნით ტრესტს დაკისრებული ჰქონდა, რომ 4 ს თის ნაცვლად ვაგონის დატვირ დრო 2 საათამდე დაეყვანა, ხო რკინიგზას კი ყოლა სხვა (ს მანევრო) ოპერაცია (ვაგონების ჩაყენება, გაყვანა და მატარებლების შედგენა-გაგზავნა) 3 საათში მოეხდინა. ტრესტი დავალებას ასრულებს, მან ამისათვის დამატებითი ბუნკერები მოაწყო და ამით შეამცირა დატვირთვის დრო, რაც შეეხება რკინიგზას, მან უფრო გააუარესა თავისი მუშაობა, 3 საათის ნაცვლად იგი 9 საათს უნდება ვაგონების სამანევრო ოპერაციებს

ამის შემდეგ განა სასაცილო და თვალისამჩვევი არ არის ჭიათურის სადგურის პერონზე გამოკიდებული „ცალკე ცვლების მიერ დღიური გეგმების შესრულების მაჩვენებელი დაფა", რომლის მიხედვით ცალკე ცვლები გეგმებს 130 პროცენტზე ნაკლებ არ ასრულებენ?!.

როგორ უყურებს ამ მდგომარეობას ა.-კ. რკინიგზის სამმართველო?

საყვედური არ გვეთქმის.

მშვენიერი ბრძანება არსებობს გზის უფროსის ამხ. ვ. პავერმანის ხელმოწერით, რაც შედეგია მდგომარეობის მის მიერ პირადად ადგილზე შემოწმებისა. ეს ბრძანება 20 სექტემბრით არის დათარიღებული. როგორც ვხედავთ, თითქმის ახალი ბრძანებაა. იგი მდგომარეობის იშვიათ ანალიზს იძლევა და სახავს მთელ რიგ მეტად საქმიან პრაქტიკულ ღონისძიებებს. ისინი ოღონდ განუხრელად გაატარე ცხოვრებაში და მუშაობაც გაჯანსაღდება.

მაგრამ აქ სიტყვა და საქმე ერთმანეთს დიდი მანძილით დასცილებიან. კარგი ბრძანება ბრძანებადვე რჩება, ხოლო მარგანეცის მთებს თუ ემატება, თორემ არაფერი აკლდება.

ა. კელენჯერიძე

მტრის ხელი მეცხოველეობაში

(მიწსახკომის საყურადღებოდ)

ხალხის უკვე გამომჟღავნებული მტრები მიწსახკომის ვეტსამმართველოდან და ექსპერიმენტული ვეტერინარიის ინსტიტუტიდან ცდილობდნენ ჩაეშალათ სავეტერინარო ხასიათის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი და მავნებლობას ეწეოდნენ.

გარეწრები აფერხებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე სავეტერინარო ქსელის გაფართოებას, სარაიონო სამკურნალოებისა და დიაგნოსტიკური კაბინეტების მშენებლობას (ბაშკიჩეთი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ბორჩალო), ხელს უწყობდნენ სახელმწიფო დაზღვევის 13-პროცენტიანი ანარიცხების განიავებას.

მავნებლები მიწსახკომის ვეტსამმართველოდან ცდილობდნენ უკმაყოფილება შეექმნათ პატიოსან სპეციალისტებს შორის. რაიონებში სპეციალისტები უზრუნველყოფილი არ იყვნენ საცხოვრებელი ბინით, მიმოსვლის საშუალებებით, კომუნალური მომსახურებით და სხვ. ვეტსამმართველოს ყოფილი მუშაკები ავიწროებდნენ პატიოსან მუშაკებს. მაგალითად, ვეტექიმები ტერტეროვი, ყანჩაველი, ტულუში და ფოცხვერიშვილი სამუშაოდან უმიზეზოდ მოხსნეს.

სამაგიეროდ, არამზადები ხელს უწყობდნენ თავიანთ კუდებს, ხელოვნურად უქმნიდნენ მათ ავტორიტეტს. მაგალითად, სახელმწიფო ქონების განიავებისა და საბჭოთა პოლიტიკის დისკრედიტაციისთვის პასუხისგებაში მიცემული ვეტ-ექიმი გრიშა კობახიძე ხალხის პირსისხლიანმა მტრებმა პასუხსაგებ თანამდებობაზე დანიშნეს. არამზადებმა თბილისის საბჭოს ვეტინსპექციიდან კობახიძეს დამატებით დაუნიშნეს თვიური ხელფასი 450 მანეთი.

მიწსახკომის ვეტსამმართველოში მოკალათებული მავნებლები განზრახ არ ღებულობდნენ ზომებს ეპიზოოტიის წინააღმდეგ, დროულად და წესიერად არ იცავდნენ საკარანტინო წესებს.

სასტიკად დაგმობილ უნდა იქნას ზოგიერთი უდარდელი მუშაკის მავნე „თეორია", თითქოს, ეპიზოოტიის მიზეზები იყოს კლიმატური პირობები. საჭიროა ამ დამპალი „თეორიის" ძირშივე აღკვეთა. ექსპერიმენტული ვეტინსტიტუტის ზოგიერთი მუშაკი, ამჟამად მხილებულნი როგორც ხალხის მტრები, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისათვის დახმარების ნაცვლად აფერხებდნენ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს.

პროფ. ფარცვანიძის და ი. ლ. მათიკაშვილის გამოცემულ წიგნებში მოცემულია უხეში, მავნებლური აზრები საქონლის დაავადებათა და მათი მკურნალობის შესახებ. ეს „ნაშრომები" დაუყოვნებლივ უნდა გადაისინჯოს და აღიკვეთოს მათი ხმარება.

ფაქტია, რომ მავნებლები არასწორად ამოწმებდნენ ადგილებს მეცხოველეობის მეურნეობის ჩამოუყალიბებლად. ამ მხრივ საჭიროა მოვიგონოთ პროფ. ალაძის მიერ მიცემული დასკვნა ცივში (ცხაკა- [illegible] რაიონი) მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მოწყობის შესახებ. იქ მეურნეობის მოწყობა ხელსაყრელი არ იყო. ამ საქმეზე 600 ათასი მანეთი გაანიავეს. პროფ. ალაძემ ამისათვის პასუხი უნდა აგოს.

საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს პირუტყვის მეტიზაციას, რომლის ხვედრითი წონა დიდია სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებაში. პარტიისა [illegible] მთავრობის მზრუნველობით შე[illegible]ლია მძლავრი საჯიშე სანა[illegible]ზა. ჩვენში მეტიზაციამ ფ[illegible] საქანი ჰპოვა ხელოვნური [illegible] ფიერების საფუძველზე. [illegible] მიღწევები უფრო მეტი [illegible] რომ ამისათვის გარეწრებ[illegible] ეშალნათ ხელი. ხელოვნუ[illegible] ყოფიერების ზოგიერთი პ[illegible] წყობილია ისეთ ადგილას, [illegible] ქონლისათვის არ არის [illegible] წყალი და საკვები ბაზა. [illegible] პუნქტი უზრუნველყოფ[illegible] არის სათანადო შენობით, [illegible] ყობით და კვალიფიციურ[illegible] ბით. ამ საქმეს სერიოზულ[illegible] მოჰკიდონ ხელი მიწსახკ[illegible] მისმა მეცხოველეობის სექტ[illegible] ბოლომდე გამოამჟღავნონ [illegible] ში ჯერ კიდევ არსებული [illegible] მავნებელთა ნაშთები, რომლებიც მომავალშიაც შეეცდებიან ზოოვეტერინარულ ღონისძიებათა განხორციელების შეფერხებას. საჭიროა დაუყოვნებლივ შეცვლილ იქნას მიწსახკომის ვეტსამმართველოს და ექსპერიმენტული ვეტინსტიტუტის მავნებლური ინსტრუქცია ბატკნის ბრტყელი ჭიის წინააღმდეგ ღონისძიებათა შესახებ, ვინაიდან ის ხელს უწყობს ყოველწლიურად ახალ-ახალი საძოვრების დაავადებას ბატკნის ბრტყელი ჭიის კვერცხებით, ეს კი საგრძნობ ზიანს აყენებს მეცხოველეობას.

განსაკუთრებული სიფხიზლით უნდა შემოწმდეს აგრეთვე იმ სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა შედეგები, რომლებიც საქართველოში ვეტსამმართველოს ყოფილმა ხელმძღვანელებმა ჩაატარეს. ასეთია პირველ რიგში სავეტერინარო ღონისძიებანი ღორის ეპიზოოტიის, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვის ფილტვების მძუსრავი ანთებისა და [illegible] წინააღმდეგ.

უნდა გადაისინჯოს ყველა რაიონში გატარებული ვეტღონისძიებანი განსაკუთრებით უნდა შემოწმდეს თბილისის ვეტინსპექციის მუშაობა.

ყოველ წუთს უნდა გვახსოვდეს ამხანაგ ლ. ბერიას მითითება: „საქართველოს მეცხოველეობას პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქ მედო ორგანიზაციებმა საქართვე ლოს ყველა რაიონში გამოუკლებ ლივ მაქსიმალური ყურადღება უ და მიაქციონ". ეს საბრძოლო დავალება მეცხოველეობის დარგში მ მუშავე პარტიულ და არაპარტი ულ ბოლშევიკთათვის. ზოოვეტ ღონისძიებათა დარგში გაწეულ მავნებლობის შედეგები სასწრაფო უნდა აღმოვფხვრათ, რათა საქართვე ლოს მეცხოველეობა სავსებით გან კურნოს ხალხის მტრების მიერ ყენებული ჭრილობისაგან.

ვეტექიმი ნ. გვასალია.

ლ. რუხაძე

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი

საქართველოს მსუბუქი მრეწველობა ოქტომბრის XX წლისთავზე

საქართველოში მსუბუქი მრეწველობის ისტორია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან იწყება. ორი ტყავის ქარხანა, ერთი თექის, ბამბის, ძაფსართავი და ერთიც აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა — აი ის მემკვიდრეობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო. აღნიშნული საწარმოები ამ დროისათვის უკვე ამორტიზირებული იყო და მორალურად გაცვეთილი.

ამრიგად, საქართველოს მსუბუქი მრეწველობა ოქტომბრის პირმშოა. მაუდის ფაბრიკა ქუთაისში, კამვოლ-მაუდის ფაბრიკა თბილისში, აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკები ქუთაისში, წულუკიძეში, ხარაძეში, თელავში, სამტრედიაში, აბრეშუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკები მახარაძეში, სამკერვალო ფაბრიკები ქუთაისში, ბათუმში, ფეხსაცმლის ფაბრიკა, საგალანტერეო, მუსიკალური ინსტრუმენტების, ჯაგრის, ტრიკოტაჟის, თავის სამკაულების საწარმოები და სხვ. — აი ის ახალი სამრეწველო წამოწყებები, რომელთა პროდუქცია ყოველწლიურად მატულობს და ქვეყანას უხვი დოვლათით ავსებს.

პირველი ხუთწლედისათვის მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ღირებულობა უკვე 11.600 ათას მანეთს უდრიდა. 1932 წელს მან. 1926-27 წლის უცვლელ ფასებში 76.740.000 მანეთის პროდუქცია დაამზადა. ხოლო მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულია 110 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება.

1927-28 წელს საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში ჩაბმული იყო 2950 მუშა, 1937 წელს კი მათი რიცხვი უკვე 20.000 აღწევს.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველომ აითვისა კაპიტალისტური ქვეყნებისათვის უჩვეულო ტემპები და მსუბუქი მრეწველობის განვითარების მხრივ საბჭოთა კავშირში მოწინავე ადგილი დაიკავა.

თუ წინათ ჩვენს ძვირფას ნედლეულს (აბრეშუმის პარკი, მატყლი, ბამბა, ტყავი და სხვ.) კაპიტალისტური ქვეყნების მტაცებლები ყიალ-ყორნებივით ეხვეოდნენ და ჩალის ფასად გაჰქონდათ საქართველოდან, დღეს ამ ნედლეულს საკუთარ ქარხნებში, საკუთარი მუშახელით ვამუშავებთ.

აბრეშუმის მეურნეობის გაძლიერებამ საქართველოში მტკიცე ბაზა შეუქმნა აბრეშუმის მრეწველობის განვითარებას. აბრეშუმის პარკის მოსავალი საქართველოში 1919 წელს 327 ტონით განისაზღვრებოდა, ხოლო 1937 წელს უკვე დამზადებულია 3550 ტონა. ჩატარებულმა მეტიზაციამ გააუმჯობესა ჩვენი მატყლის ხარისხი და უზრუნველჰყო კამვოლის ქსოვილების გამოშვების გადიდება. მესაქონლეობის განვითარებით შეიქმნა მტკიცე ბაზა ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის განვითარებისათვის.

აბრეშუმის მრეწველობამ 1927-28 წელს დაამზადა 4,3 მილიონი მანეთის პროდუქცია, 1932 წელს — 16,3 მილიონი მანეთისა, ხოლო 1937 წელს კი დამზადებული იქნება 50 მილიონი მანეთის პროდუქცია

1923 - 24 წ. აბრეშუმის მრეწველობამ დაამზადა 10 ათასი მეტრი ქსოვილი, 1932 წელს 59 ათასი, ხოლო 1937 წელს კი გეგმით გათვალისწინებულია 4 მილიონი მეტრი აბრეშუმის ქსოვილების გამოშვება.

თუ 1927-28 წელს აბრეშუმის მრეწველობაში ირიცხებოდა 1574 მუშა, 1937 წელს მათი რიცხვი 5.000 აღემატება.

მატყლისა და ბამბის მრეწველობამ 1927-28 წელს მოგვცა სამი მილიონი მანეთის პროდუქცია. 1932 წელს იგი გადიდებულ იქნა 17 მილიონ მანეთამდე, 1937 წელს კი გამოშვებულ იქნება 29 მილიონი მანეთის პროდუქცია. შალის ქსოვილები 1927 - 28 წ. დამზადდა 121 ათასი, 1932 წ. — 1.015 ათასი, ხოლო 1937 წელს კი —1.700 ათასი მეტრი.

1927-28 წელს გამომუშავდა 106 ტონა ბამბის ნართი, 1937 წლის გეგმით გათვალისწინებულია 350 ტონა ბამბის ნართის დამზადება.

შალისა და ბამბეულის მრეწველობაში 1927-28 წელს ირიცხებოდა 512 მუშა, 1937 წელს კი ირიცხება 2400 მუშამდე, რომელთა შრომის ნაყოფიერება აღნიშნული პერიოდის მანძილზე 110 პროცენტით გაიზარდა.

კიდევ უფრო მეტი ზრდა-განვითარება ახასიათებს ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობას. წარმოების ამ დარგის პროდუქცია 1927-28 წელს 3.214 ათასი მანეთით განისაზღვრებოდა, 1932 წელს იგი გადიდებულ იქნა 10,4 მილიონ მანეთამდე, ხოლო 1937 წელს გეგმით გათვალისწინებულია 31,8 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება. ამრიგად, პროდუქციის გამოშვება 30-ჯერ გაიზარდა.

1932 წელს დამზადდა 813 ტონა მაგარი ტყავი, 1937 წელს კი დამზადებული იქნება 1500 ტონა. 1932 წელს დამზადებული 16.300 ათასი კვ. დეციმეტრი ხრომის ნაცვლად 1937 წელს დამზადებული იქნება 22.000 ათასი კვ. დეციმეტრი.

საქართველოში მსხვილმა ფაბრიკებმა 1927-28 წელს შეჰკერეს 202 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 1932 წელს — 1.334 ათასი წყვილი, 1937 წლის გეგმით გათვალისწინებულია 4.520 ათასი წყვილი ფეხსაცმლის დამზადება.

ფეხსაცმლის პროდუქციის ასეთი გადიდება უზრუნველჰყო თბილისში 1936 წელს ამუშავებულმა ახალმა ფაბრიკა - გიგანტმა, რომლის მშენებლობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ეს ფაბრიკა მოგვცემს 8.830 ათას წყვილ ფეხსაცმელს.

პროდუქციის ზრდასთან ერთად იზრდება მუშების რიცხვი. 1927-28 წელს მრეწველობის ამ დარგში ირიცხებოდა 455 მუშა, 1932 წელს — 1019, 1937 წელს კი ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობაში ჩაბმულია 4000 მეტი მუშა.

სამკერვალო მრეწველობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სრულიად არ არსებობდა. ამჟამად კი ჩვენ მოგვეპოვება საფაბრიკო სამკერვალო მრეწველობა, რომელიც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში შემდეგი დინამიკით ხასიათდება. გამომუშავებული პროდუქციის ღირებულება 1926-27 წლის ფასებში უდრიდა: 1927-28 წელს — ერთ მილიონ მანეთზე მეტს, 1932 წელს 32,8 მილიონ მანეთს, ხოლო 1937 წლის გეგმით უნდა დამზადდეს 35 მილიონი მანეთის პროდუქცია. აღნიშნულ პროდუქციას ამუშავებს 9 ახლად აგებული ფაბრიკა.

ამრიგად, სამკერვალო მრეწველობა, როგორც წარმოების მსხვილი დარგი, საქართველოში შეიქმნა პირველსა და მეორე ხუთწლედში. 1927-28 წელს მრეწველობის ამ დარგში ირიცხებოდა 407 მუშა, 1932 წელს — 3.183, 1937 წელს კი ირიცხება 3727. შრომის ნაყოფიერება სამკერვალო მრეწველობაში სამნახევარჯერ გაიზარდა. აღნიშნული მრეწველობის დარგებს უნდა დაემატოს კიდევ ორი ახალი დარგი მრეწველობისა: პირველი — საგალანტერეო წარმოება, რომლის პროდუქცია 1936 წელს 5.522 ათას მანეთს უდრიდა (1926-27 წლის ფასებში), ხოლო 1937 წელს კი მოგვცემს 6.5 მილიონ მანეთის პროდუქციას; მეორე — მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკა. რომელმაც მეორე ხუთწლედში ჩვენი მდიდარი სარეზონანსო ხე-ტყის მასალისგან დაამზადა 1000 ცალი პიანინო.

პოლიგრაფიული მრეწველობა გამდიდრებულ იქნა უახლესი ტიპის მანქანებით. ახლად აგებულ პოლიგრაფ კომბინატის ექსპლოატაციაში შესვლით ეს მრეწველობა ჩადგება მოწინავე წარმოებათა რიგებში.

ამრიგად, საქართველოს მშრომელები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 17 წლის, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავს დიდი გამარჯვებებით ეგებებიან.

მსოფლიო მუშათა კლასის ბელადის დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლით უზრუნველყოფილია ჩვენი შემდგომი შეუჩერებელი წინსვლა. საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში მოკალათებულმა ხალხის მტრებმა დიდი ზიანი მიაყენეს ჩვენს მრეწველობას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ხელმძღვანელობით დაძლეულ იქნა ის შეფერხებები, რომელთაც ხალხის მტრები საქართველოში მსუბუქი მრეწველობის განვითარებას უქმნიდნენ.

მესამე ხუთწლედის გეგმა - ვარაუდით გათვალისწინებულია 520 ტონა გრეჟის, 6.700 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილის, 3.800 ათასი მეტრი შალეულის, 3.000 ტონა მაგარი ტყავის, 80 მილიონი დეციმეტრი ხრომის, 10 მილიონი ცალი ფეხსაცმლის, 159 მილიონი ცალი სხვადასხვა შუშის ჭურჭლეულის, 70 მილიონი მანეთის ტანსაცმლის, 21 მილიონი მანეთის საგალანტერეო პროდუქციის, 3000 ცალი პიანინოს და სხვ. დამზადება.

საქართველოს მშრომელები, რომელთაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, მსუბუქი მრეწველობის მესამე ხუთწლედის ვარაუდს პროგრამა - მინიმუმად მიიჩნევენ, რადგანაც დარწმუნებული არიან, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შეუჩერებელი ზრდა და მშრომელთა შეძლებული ცხოვრება საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიან მასებში სულ ახალ-ახალ შემოქმედებით ინიციატივას წარმოშობს.

იტალიის მორიგი თვალთმაქცური ჟესტი

ჩაურევლობის ქვეკომისიის სხდომა.

ლონდონი, 20 ოქტომბერი (საკდესი). ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარესთან არსებული ქვეკომისიის დღევანდელი სხდომა, რომელიც იდენის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, აღინიშნა ახალი „სენსაციით" იტალიის მხრივ. იტალიის წარმომადგენელმა გრანდიმ თავისი მთავრობის სახელით განაცხადა, რომ იგი მზად [illegible] მიიღოს წინადადება ესპანეთიდან „მოხალისეთა" ევაკუაციის შესახებ და თანახმაა დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ვალენსიასა და სალამანკაში ორი კომისია, დანიშნული საერთაშორისო კომიტეტის მიერ, ორივე მხარეზე მებრძოლ „მოხალისეთა" ზუსტი რიცხვის გამოსარკვევად, აგრეთვე მოლაპარაკების გასამართავად ესპანეთის მთავრობასთან და გენერალ ფრანკოსთან უცხოელ ჯარისკაცთა გაყვანის მეთოდებისა და პირობების შესახებ. გრანდიმ შემდეგ დასძინა, რომ იტალიის მთავრობას წინანდებურად სასურველად მიაჩნია დაუყოვნებლივ მიენიჭოს გენერალ ფრანკოს მეომარი მხარის უფლებები, მაგრამ ევაკუაციის პროცესის დაჩქარების მიზნით იგი მზად არის დათანხმდეს, რათა გენერალ ფრანკოსათვის ასეთი უფლებების მინიჭების მომენტის საკითხი საერთაშორისო კომიტეტის განსახილველად დაისვას ცოტად უფრო გვიან, მას შემდეგ, როცა ფაქტიურად დაიწყება „მოხალისეთა" გაყვანა. დასასრულ, იტალიის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა იმ იდეას, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს „მოხალისეთა" პატარა ნაწილის „სიმბოლიური ევაკუაცია", მაგრამ თანაბარი რაოდენობით ორივე მხრიდან.

გრანდის მოქმედება გუშინდელ დღესთან შედარებით მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენდა, და ქვეკომისიის მთელი რიგი ადვილმორწმუნე წევრები (ფრანგი, ბელგიელი, შვედი, ჩეხოსლოვაკი და სხვები) მზად იყვნენ უკვე მისცემოდნენ სრულიად გაუმართლებელ ოპტიმიზმს, მაგრამ სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამხ. მაისკიმ ხელი შეუწყო მეტი სიფხიზლის შეტანას გრანდის გამოსვლის შეფასებაში. შემდეგ გამართული საკმაოდ გრძელი დისკუსიის დროს განიხილეს სხვადასხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხები, დაკავშირებული გრანდის მიერ შემოთავაზებული კომისიების გაგზავნასთან ესპანეთში და გადასწყვიტეს იტალიის წინადადება დასკვნისათვის გადაეცეს დაინტერესებულ მთავრობებს. ქვეკომისიის შემდეგი სხდომა დანიშნულია 22 ოქტომბრისათვის.

იტალიის ახალი მანევრის აზრი, როგორც საერთაშორისო კომიტეტის კულუარებში ამტკიცებენ, შემდეგში მდგომარეობს. მუსოლინის ძირითადი ამოცანა ამჟამად ის არის, რომ, ერთი მხრით, მოიგოს დრო გენერალ ფრანკოსათვის დამხმარე ძალების გასაგზავნად, რაც მას ესაჭიროება გენერალური შეტევისათვის რესპუბლიკელთა წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრით,—აიცილოს საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრის დაუყოვნებლივ გახსნა და ჩაურევლობის ლიკვიდაცია, რათა ხელი შეუშალოს ესპანეთის მთავრობისათვის დახმარების აღმოჩენას იარაღითა და ადამიანებით. გრანდის წინადადებანი ორივე ამ მიზანს ემსახურება. კომისიების ორგანიზაციას, მათს გაგზავნას ესპანეთში, მათს მოლაპარაკებას ვალენსიასა და სალამანკასთან, საერთაშორისო კომიტეტისათვის ანგარიშის წარდგენასა და სხვ., სულ მცირე ვარაუდით, თვენახევარი დასჭირდება. მთელი ამ ხნის განმავლობაში „ჩაურევლობა" (ე. ი. ესპანეთში იარაღის ექსპორტის აკრძალვა, კარანტინი საფრანგეთის საზღვარზე და სხვა.) კვლავ იარსებებს და ამით შეასუსტებს ესპანეთის მთავრობის პოზიციებს. ამავე დროს მუსოლინის, რომელიც არაფრით არ არის შებორკილი, წინანდებურად შესაძლებლობა ექნება შეუფერხებლივ ჰგზავნოს ჯარი და იარაღი ფრანკოს დასახმარებლად. მაშ, ამ შემთხვევაში, რატომ არ უნდა გააკეთოს გრანდიმ „კეთილშობილური ჟესტი" ჩაურევლობის კომიტეტში? ხოლო როცა ეს თვენახევარი გაივლის და საჭირო გახდება მოხალისეთა ფაქტიური ევაკუაციის დაწყება, განა ისე გაუძნელდებათ იტალიელებს გამონახონ რაიმე ახალი საბაბი ახალი გაჭიანურებასა და ახალი მანევრებისათვის?

ჩინეთის ჯარები განაგრძობენ წინსვლას

შანხაი, 20 ოქტომბერი (საკდესი). ვენძაოპანის არხის სექტორში გაფთრებული ბრძოლების შემდეგ ჩინეთის ჯარებმა 20 ოქტომბერს უკან დაახევინეს იაპონელთა ნაწილებს სოფელ ხუანკანისაკენ (რომელიც მდებარეობს სოფელ კოძიაბარ[illegible] მეზობლად). ჩინეთის ჯარები აქ განსაკუთრებულ სიმედგრეს იჩენენ, ვინაიდან შეგნებული აქვთ, რომ ამ ორი სოფლის დაკავებაზე არის დამოკიდებული მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის—დაჩანის ბედი.

20 ოქტომბერს მთელი დღის განმავლობაში იაპონელთა არტილერია ყუმბარებს უშენდა სოფელ გუანფუს.

[illegible] ჯარებმა 19 ოქტომბერს [illegible] მოიგერიეს ია[illegible] ჯავშნიანი სატანკო ნაწი[illegible] [illegible] მთელ რიგ პატარა [illegible] ლიუხან-დაჩანის გზა[illegible] აღმოსავლეთით. ჩინელთა [illegible], ჩინეთის ჯარებმა ხელთ [illegible] ტანკი. არხის აღმოსავ[illegible]ლში, სოფელ ჩანძუ-თან, [illegible] ჯარებმა 20 ოქტომბერს [illegible] იაპონელთა ჯარების [illegible]ზში.

[illegible] თვითმფრინავები წ[illegible] ყუმბარებს უშენენ ჩა[illegible] [illegible] და ჩრდილოეთის [illegible] რაიონებს. ბომბარდირება[illegible] [illegible] ანგრეულია რამდენიმე სახ[illegible].

[illegible]ინი, 20 ოქტომბერი (საკდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტოს ცნობით, ჩინეთის ჯარების მთავარმა ძალებმა ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის ფრონტზე პინიუანის ჩრდილოეთით წინ წაიწიეს 10 კილომეტრით.

იუწყებიან, რომ იაპონელთა დიდი დამარცხებით დამთავრდა მათი იერიში ძიუგანის მთიან გასასვლელზე, რომელიც მდებარეობს ძინძინის სამხრეთით, ხეზეისა და შანსის პროვინციების საზღვარზე.

ჩინელთა ცნობებით, ჩინეთის თვითმფრინავები დღეს გაძლიერებით უშენდნენ ყუმბარებს იაპონელთა ჯარების პოზიციებს ტიანძინ-პუკოუს რკინიგზაზე. მოსპობილია იაპონელთა ჯავშნიანი მატარებელი.

ლონდონი, 20 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო სწერს, რომ იაპონიის ჯარები, რომელნიც დღემდე სწრაფად მიიწევდნენ წინ ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის გასწვრივ სამხრეთისაკენ, ამჟამად უკან იხევენ ჩრდილოეთისაკენ.

ნანკინი, 20 ოქტომბერი (საკდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ 17 ოქტომბერს ჩინეთის ჯარებმა განდევნეს იაპონელთა ნაწილები პინშანიდან, ჯენლინის ჩრდილო-დასავლეთით, ხეზეის პროვინციაში. მეორე დღეს ჩინეთის ჯარებმა აიღეს ქალაქი ციუიანი, 75 კილომეტრის მანძილზე ბაოდინის სამხრეთ-დასავლეთით. ჩინეთის ჯარებმა ხელთ იგდეს დიდძალი სურსათი და ამუნიცია. ჩინელთა ნაწილები, რომლებიც აქ მოქმედებენ, წინ მიიწევენ ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზაზე არსებული ლინსიანის, სინლეს და ვანდუს სადგურების მიმართულებით. ვანდუს აღების შემთხვევაში ჩინეთის ჯარები შესძლებენ გადასჭრან მიმოსვლა ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზაზე და მოსწყვიტონ ვანდუს სამხრეთით მყოფი იაპონელთა ნაწილები მათს ჩრდილოეთის ბაზებს. ხეზეის პროვინციის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში ჩინეთის ჯარებმა 18 ოქტომბერს დაიკავეს ქალაქი ფანშანი (40 კილომეტრის მანძილზე ბეიპინის სამხრეთ-დასავლეთით). ხელთ იგდეს დიდძალი სომარი საჭურველი.

შანსის პროვინციაში 18 ოქტომბერს ჩინელთა რაზმები პირისპირ მიადგნენ იანმინგუანიუს მთიან გასასვლელს. ფრონტის ამ უბანზე 350 საბარგო მანქანით მოვიდა იაპონელთა დამხმარე ძალები. ჩამოსულ იაპონელთა დამხმარე ძალებსა და ჩინეთის ჯარებს შორის მოხდა დიდი ბრძოლა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა იაპონიის 4 თვითმფრინავი. ბრძოლა დაღამებამდე გრძელდებოდა.

ტოკიო, 20 ოქტომბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობით, 20 ოქტომბერს იაპონელთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ნანკინს.

ვიხსნათ ასტურიის გმირი ხალხი

პარიზი, 21 ოქტომბერი (საკდესი). „ლუმანიტეში" მოთავსებულია რომენ როლანის, კაშენის, ლანჟევენის და საფრანგეთის საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილი პროტესტი იტალიისა და გერმანიის ჯარების, აგრეთვე ესპანელ მეამბოხეთა ჯარების ბარბაროსულ მოქმედებათა წინააღმდეგ. აღნიშნავენ რა, რომ „ხმელეთიდან გარშემორტყმულ, ზღვიდან ბლოკირებულ ასტურიის მოსახლეობას, რომელზედაც იერიშები მიაქვს მეამბოხეთა ავიაციას, და რომელიც მოკლებულია მომარაგებას, ფრანკოს ურდოები ამოჟლეტას უქადიან მუსოლინისა და ჰიტლერის საოკუპაციო ჯარების დახმარებით", პროტესტის ავტორები [illegible]ადებენ:

„დემოკრატიულ მთავრობებს, პირველ რიგში საფრანგეთის მთავრობას, არ შეუძლიათ გულგრილნი დარჩნენ ასტურიის მოსახლეობის ბედისადმი. საჭიროა, რათა საფრანგეთის ხალხმა მიაღწიოს ქალთა, ბავშვთა და დაჭრილთა ევაკუაციას ასტურიიდან, მიაღწიოს იმათ ევაკუაციას, ვისი სიცოცხლეც საფრთხეშია. დუმილი, გულგრილად დარჩენა დანაშაულის ჩადენა იქნებოდა ჩვენი ხალხის პატიოსნების, მთელი კაცობრიობის პატიოსნების წინააღმდეგ. საჭიროა, რათა ყოველი კუთხიდან, ქარხნებიდან, საწარმოებიდან, კანტორებიდან, ქალაქებიდან და სოფლებიდან გაიგზავნოს დელეგაციები ხელისუფლების სათანადო წარმომადგენლებთან. საჭიროა, რათა ათასობით დეპეშებმა და რეზოლუციებმა მიუთითონ საფრანგეთის მთავრობას ადამიანობის ვალზე, რომელთანაც გადახლართულია ქვეყნის თავდაცვის ინტერესები".

სსრ კავშირის პროკურატურაში

მოსკოვი, 21 ოქტომბერი (საკდესი). 1937 წ. ივნისის დამლევს სსრ კავშირის შინსახკომის ორგანოებმა დააპატიმრეს „გესტაპოს" აგენტები პაულ **ზილბერშორნი** და ერვინ **კლაინი,** რომელნიც ჩამოსული იყვნენ სსრ კავშირში დაზვერვითი და დივერსიული საქმიანობისათვის ვითომდა, როგორც უცხოელი ტურისტები, ყალბი შვეიცარიული პასპორტებით მაქს **შილდისა და ჟოზეფ ლესიუს** სახელზე.

გამოძიებით დადასტურდა, რომ პაულ **ზილბერშორნი** (იგივე მაქს **შილდი**), არის რა გერმანიის დაზვერვის აგენტი, პირველად 1930 წელს იყო გამოგზავნილი სსრ კავშირში უცხოელი სპეციალისტის სახით ჯაშუშურ მუშაობისათვის. უცხოეთის ერთერთი საკონსულოს ოფიციალური თანამშრომლების დავალებით **ზილბერშორნი** იწეოდა ჯაშუშობას, მათი საშუალებით გადასცემდა რა მის მიერ შეკრებილ მასალებს. ამასთან დაკავშირებით იგი 1936 წ. ნოემბერს გადასახლებული იქნა სსრ კავშირის საზღვრებიდან და აეკრძალა სსრ კავშირში კვლავ ჩამოსვლა. მიუხედავად სსრ კავშირში ჩამოსვლის აკრძალვისა, პაულ **ზილბერშორნმა,** მიიღო რა საზღვარგარეთ ყალბი შვეიცარიული პასპორტი მაქს **შილდის** სახელზე, მეორე აგენტ ერვინ **კლაინთან** ერთად (იგივე ჟოზეფ ლესიუ) 1937 წ. ივნისში ჩამოვიდა სსრ კავშირში. მათ დაკისრებული ჰქონდათ დაემყარებინათ კავშირი უცხოეთის ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომლებთან და შეესრულებინათ მათი დავალებანი ჯაშუშური და დივერსიული მუშაობის დარგში.

საქმე გამოძიებით დამთავრებულია და განსახილველად გადაეცემა ლენინგრადის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალს.

ბრალდებას მხარს უჭერს მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილე—სსრ კავშირის პროკურორის თანაშემწე ამხ. **გროდკო.** იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი ამხ. **სომინსკი.**

პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის ლადო კეცხოველის სახ. სახლი კიევში

კიევი, 21 ოქტომბერი (საკდესი). პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის ლადო კეცხოველის სახ. სახლი, რომელიც ამა წლის აგვისტოში გაიხსნა უკრაინის კ. პ. (ბ) სტალინის რაიკომთან (კიევი), დიდ მუშაობას აწარმოებს რაიონის პარტიული აქტივის პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

სისტემატური სემინარები, ლექციები, თეორიული კონფერენციები დახმარებას უწევენ პარტიულ აქტივს ღრმად შეისწავლოს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომები. მოახდინოს პარტიული მუშაობის გამოცდილების ურთიერთ გაზიარება.

ამ ცოტახნის წინათ დაამთავრა მუშაობა რაიონის აგიტატორთა 15-დღიანმა სემინარმა, რომელშიც სწავლობდნენ წარმოებისაგან მოუწყვეტლად. სემინარი მიძღვნილი იყო სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნებისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის საკითხებისადმი. დაიწყო მუშაობა რაიონის ბიბლიოთეკართა სემინარმა.

ამჟამად პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის სახლი ამზადებს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XX წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას. გარდა ამისა, მზადდება დიდი გამოფენა თემაზე: „ამხანაგი სტალინის ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა". ამ გამოფენაზე თავმოყრილი იქნება იმ დოკუმენტების, მასალების და სურათების მრავალრიცხოვანი ფოტოასლები, რომელნიც ასახავენ პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადის ცხოვრებას და მოღვაწეობას.

ქრონიკა

სსრ კავშირის ცაკმა ამხ. ვ. ი. **მეჟლაუკი** დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ.

◆

სსრ კავშირის ცაკმა ამხ. ჰ. დ. **ბრუსკინი** დაამტკიცა მანქანათმშენებლობის სახალხო კომისრად.

◆

სსრ კავშირის ცაკმა ამხ. ვ. ი. **მეჟლაუკი** გაათავისუფლა მანქანათმშენებლობის კომისრის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

◆

სრულიად-რუსეთის ცაკმა დაადგინა შექმნას ვოლოგდის ოლქში სრულიად-რუსეთის ცაკის საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ორგკომიტეტის თავ-რე ამხ. ნ. ნ. **კომანდიროვი,** და წევრები გ. ა. **რიაბოვი,** ვ. ვ. **ლოჟკოვი,** ს. გ. **ჟუპახინი,** ნ. ა. **ბარანოვი.**

მფრინავ ფედოსეევის ძირდაუშვებელი შორგაფრენა

მოსკოვი, 21 ოქტომბერი (საკდესი). სსრ კავშირის კოსარევის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის მფრინავმა ამხ. ფედოსეევმა 21 ოქტომბერს მოახდინა ძირდაუშვებელი შორფრენა ინჟინერ ა. ს. იაკოვლევის კონსტრუქციის მსუბუქ ერთადგილიან „უტ-1" თვითმფრინავით. თვითმფრინავი მუშაობს 150 ცხენძალიანი „მ-11" მოტორით.

ამ ფრენის სტარტი დაიწყო დილის 10 საათსა და 33 წუთზე ტუშინოს ჰიდრომისადგომის მახლობლად მდინარე მოსკოვზე. იმავე დღეს გვიან საღამოთი სსრ კავშირის კოსარევის სახელობის ცენტრალურმა აეროკლუბმა მიიღო ცნობა, რომ მფრინავი ამხ. ფედოსეევი 16 საათსა და 20 წუთზე მშვიდობიანად ჩაფრინდა უფაში. წინასწარი ცნობებით, ამხ. ფედოსეევმა 5 საათისა და 47 წუთის ძირდაუშვებელი ფრენის განმავლობაში დაჰფარა სწორი ხაზით 1200-ზე მეტი კილომეტრი.

მსგავსი მსუბუქი ჰიდროთვითმფრინავებით ძირდაუშვებლად ყველაზე მეტი მანძილი იფრინა მხოლოდ ორმა მფრინავმა: საბჭოთა პილოტმა კრუჟევსკიმ—470 კილომეტრი და 662 მეტრი და ამერიკელმა პილოტმა კინგმა—353 კილომეტრი და 988 მეტრი.

ველო-მარულა

მახარაძე, (საკ. კორ.). 20 ოქტომბერს, საღამოს 5-ნახევარ საათზე, ქალაქ მახარაძეში ჩამოვიდა საქართველოს ველო-მარულის მონაწილეთა კოლონა. მათი მარშრუტია: თბილისი—ხაშური—ქუთაისი — მახარაძე—ბათუმი—ხულო — ბორჯომი—თბილისი.

მახარაძეში პირველი მოვიდა საქართველოს რეკორდსმენი ხაბურზანია, რომელმაც მანძილი თბილისი—მახარაძე (358 კილომეტრი) 16 საათსა და 20 წუთში დაჰფარა.

გადარბენის ყველა მონაწილე თავს კარგად გრძნობს.

21 ოქტომბერს დილის 11 საათზე კოლონა გავიდა ბათუმის მიმართულებით.

ხალხური შემოქმედების ოლიმპიადა

ხალხური სიმღერისა და ცეკვის თბილისის საქალაქო ოლიმპიადის ჟიურიმ შეაჯამა 18 და 19 ოქტომბერს ჩატარებული ოლიმპიადის შედეგები.

ოლიმპიადაში მონაწილეობას იღებდა 543 კაცი—მუშები, მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც რაიონულ ოლიმპიადებზე იყვნენ შერჩეული. სულ მონაწილეობდა 75 ერთეული, აქედან 10 მომღერალთა გუნდი, 25 ინსტრუმენტალური ანსამბლი და 10 მოცეკვავეთა ერთეული.

ჟიურიმ აღნიშნა, რომ სასიმღერო და საცეკვაო თვითმოქმედება თბილისის მშრომელთა შორის წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა. ჩამოყალიბდა სიმღერისა და ცეკვის ახალი ანსამბლები. გაუმჯობესდა შემსრულებელთა კვალიფიკაცია. ფართოდ განვითარდა მეჩონგურეთა ანსამბლები. რეპერტუარი მნიშვნელოვნად განახლდა და გამდიდრდა ახალი თანამედროვე სიმღერებით ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინისა, კოლმეურნეობებისა და ახალი ცხოვრების შესახებ.

ჟიურის დადგენილებით ხალხური სიმღერისა და ცეკვის სრულიად საქართველოს ოლიმპიადაზე დაშვებულია 40 კოლექტივი და ინდივიდუალური შემსრულებელი, მათ შორის: ქართული საკრავების ხალხური ორკესტრი ვაშაკიძის ხელმძღვანელობით (არქიტექტურული ტექნიკუმი), მეჩონგურე ქალთა ანსამბლი ალექსანდრა ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით, ი. ჭავჭავაძის სახელობის სკოლის მეჩონგურეთა ანსამბლი, სარეწაო კოოპერაციის გუნდი, საზოგადოებრივი კვების მუშაკთა პროფკავშირის და ბრმათა საზოგადოების გუნდები, სამეურნეო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის გუნდი, მოცეკვავეები ი. ქელენტი და ლ. ზაუტაშვილი, თ. მხეიძე და კ. გოგიჩაძე, რ. ჩახავა და ო. მანტკავა, არჩვაძე და სელიპანაშვილი, მგალობლიშვილი და ავალიანი, შავდია და ბოჭორიშვილი, ფარცვანია, სარქისოვი, მაყაშვილი და სხვ.

სიმღერისა და ცეკვის 22 საუკეთესო შემსრულებელს მიეცა ფულადი ჯილდოები.

მიღწევებთან ერთად ჟიურიმ აღნიშნა ზოგიერთი ნაკლი, რომელიც მხატვრულ თვითმოქმედებას ახასიათებს. ესენია: მოზრდილი მუშების სუსტად ჩაბმა თვითმოქმედ წრეებში, საწარმოებისა და დაწესებულებების წრეების დაბალი კვალიფიკაცია, საგუნდო და ინსტრუმენტალური ანსამბლების რეპერტუარის ერთფეროვნება.

ამასთან დაკავშირებით ჟიურიმ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს წინაშე დასვა საკითხი წრეების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად კურსების მოწყობის შესახებ.

მწერალთა კავშირში

23 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის, 13) პოეტების სექციის საჯარო სხდომაზე ამხ. დ. ბენაშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ლენინი და სტალინი ქართულ პოეტურ ფოლკლორში".

სექციის წევრებისათვის დასწრება სავალდებულოა.

ქართული მხატვრობის გამოფენა მოსკოვში

მოსკოვი, (საკ. კორ.) ამ დღეებში საქართველოს მხატვართა კავშირის [illegible] ამხ. თოიძემ და „ხელოვნების" გამომცემლობის [illegible] [illegible] დაათვალიერეს [illegible] ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეაში ქართული მხატვრობის გამოფენის მოსაწყობად წარმოებული მუშაობის მიმდინარეობა.

საგამოფენო დარბაზებში გაცხოველებული მუშაობაა. კედლებზე აწყობენ ჩარჩოებს, ფოტოგრაფები იღებენ სურათებს გალერეის 50 არქივისათვის.

საუკეთესო შეფასება მიიღო მხატვ. ირაკლი თოიძის ნამუშევრებმა, კიკნაძის—ლადო კეცხოველის პორტრეტმა, სიხარულიძის — წითელარმიელის ქანდაკებამ, ბლიოტკინის სურათმა „კარნავალი თბილისში", აგრეთვე ს. მაისაშვილისა და ა. ნადარეიშვილის ნამუშევრებმა.

განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია მხატვარ ჯაფარიძის მიერ საუკეთესოდ შესრულებულმა ამხანაგ სტალინის პორტრეტმა.

გამომცემლობა „ისკუსტვო" ამზადებს ქართველი მხატვრების მიერ გამოფენაზე წარდგენილი ექსპონატების კატალოგს.

მოსკოვის გაზეთები დიდ ინტერესს იჩენენ ამ ღირსშესანიშნავი გამოფენისადმი.

ახალი წიგნები

საქართველოს სახელგამმა გამოსცა გამოჩენილი რუსი მწერლის ალ. გრიბოედოვის ცნობილი კომედია „ვაი ჭკუისაგან".

წიგნი თარგმნილია პოეტი ქალის განდეგილის მიერ; დართული აქვს პროფ. ს. დანელიას წინასიტყვაობა და კომენტარიები. ფასი 1 მან. 70 კაპ.

სახელგამმა გამოსცა აგრეთვე პროფ. ს. დანელიას წიგნი „ა. პუშკინის ცხოვრება და შემოქმედება", ფასი 1 მან. 40 კაპ.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

23 ოქტომბერს.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სსრ კავშირის უზენაესი საბჭო" (კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო). კონსულტანტები ქართულ ენაზე — ამხ. პ. ჯიბლაძე, რუსულ ენაზე — ამხ. ა. კვაჰაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემებზე:

1) „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დაარსება და პარტიის შიგნით ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფრაქციების გაჩენა" (1901—1904 წ. წ.). კონსულტანტი რუსულ ენაზე — ამხ. ვართაზაროვი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

2) კომუნისტური მორალის აღზრდა. კონსულტანტი ქართულ ენაზე — ამხ. ცხადაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆

23 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის აგიტატორებისათვის შესდგება პროფ. ათაბეკოვის მოხსენება თემაზე: „იაპონიის ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა".

◆

23 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, სტალინის რაიკომის პარტგანათლების სახლში შესდგება მოხსენება აგიტატორებისათვის ქართულ ენაზე. თემა: „საბჭოთა კავშირი — სოციალისტური, მსოფლიოში ყველაზე თანმიმდევარი დემოკრატიზმის ქვეყანა".

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ა. იაკობაშვილი



სოხუმში გაიხსნა საკოლმეურნეო ბაზრობა. სურათზე: ხილით ვაჭრობა ბაზრობაზე.
ფოტო პარასკევოპულოსი („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

23/X	მუდმ. ადგ. ტალ. № 8 დაისი
24/X	მუდმ. ადგ. ტალონი № 9 ერთდრ. ბილეთის სერია № 3 ევგენი ონეგინი
26/X	მუდ. ადგ. ტალ. № 10 ერთდრ. ბილეთის სერია № 4 ტოსკა

დასაწყისი 8 საათზე.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1937—38 წ. სეზონი

23/X	წარმოდგენა 18. გმირთა თაობა
24/X	წარმოდგენა 19. გმირთა თაობა
26/X	წარმოდგენა 20. ოტელო

სალარო ღიაა 12 საათიდან. დასაწყისი 8 საათზე.
25 ოქტომბრიდან დაიწყება მუდმივი ბილეთების ტალონების გაცემა. ვისაც მეორე გადასახადი არ ექნება შემოტანილი მას ტალონები არ მიეცემა. ბილეთების გაცემა იწარმოებს თეატრის ბუღალტერიაში 11 საათიდან 4 ს.-მდე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

23/X წარმ. № 18	სამანიშვილის დედინაცვალი
24/X წარმ. № 19	ფიგაროს ქორწინება

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 ს. საღ. 9 საათ.
მუდმივი ადგილების მეორე შემოსატანი სავალდებულოა შემოტანილი იქნეს 20 ოქტომბრამდე.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	ახალი ხმოვ. კომედია ოქროს ტაიგა დასაწყისი 6-30
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ხმოვანი ფილმი პარიზის თაღებ ქვეშ დასაწყ. 6-30
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	საზამთ. შენობა უჩინარი ადამიანი დასაწყ. 6-30
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ხმოვანი ფილმი პარიზის თაღებ ქვეშ დასაწყ. 6-30
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	ახალი ხმოვანი კომედია ოქროს ტაიგა დასაწყ. 6-30
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	ხმოვანი ფილმი ცირკი დასაწყ. 6-30
კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222	ხმოვანი ფილმი პეტრე I-ლი დასაწყ. 8 ს.
ახალი ამბები	ხმოვანი ჟურნალები №№ 41, 42.
არსენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი ალმასების ხეობა დასაწყისი 7 საათზე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

მუდმივი ადგილების
ერთდროული ბილეთების შეძენის ვადა
თავდება 27 ოქტომბერს.

2-1 30

მიიღება ხელისმოწერა
1937 წლის 1-ლი ნოემბრისათვის და წლის ბოლომდე შემდეგ გაზეთებსა და ჟურნალებზე:

გაზეთები:
„კომუნისტი"
1 თვით 2 მ. 50 კ., 2 თვით 5 მან.
„ახალგაზრდა კომუნისტი"
1 თვით 2 მან. 50 კ., 2 თვით 5 მან.
„ნორჩი ლენინელი"
1 თვით 25 კაპ., 2 თვით 50 კაპ.

ჟურნალები:
„ბოლშევიკი"
1 თვით 50 კაპ., 2 თვით 1 მან.
„ახალგაზრდა ბოლშევიკი"
1 თვით 50 კაპ., 2 თვით 1 მან.
„მშრომელი ქალი"
1 თვით 40 კაპ., 2 თვით 80 კაპ.
„ოქტომბრელი"
1 თვით 50 კ., 2 თვით 1 მან.

ხელისმოწერა უნდა ჩააბარდეს:
„სოიუზპეჩატს", ფოსტას, წერილდამტარებლებს, ხელისმოწერის შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში და პოლიტგანყოფილებათა გამომცემლობებს ტრანსპორტზე. ხელისმოწერის უკანასკნელი ვადაა — 27 ოქტომბერი ჩათვლით.
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა „კომუნისტი"

წულუკიძის ქაღალდის ქარხნის ბალანსი 1937 წლის 1-ლი იანვრისათვის
(ათას მანეთებში)

აქტივი

№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა	869,0
2	ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა	389,2
3	მარაგი მასალების, ნედლეულისა და სათბობისა	2535,8
4	საქონელი, მზანაწარმი	1249,0
5	გასაყიდად გამოყოფილი საგნები	4,2
6	ფულადი საშუალებანი	10,5
7	ანგარიშსწორებანი	319,3
8	მომავალი პერიოდის ხარჯები	8.6
9	შინასაბალანსო ანგარიშსწორებანი	146,9
	ბალანსი . . .	5482,5

პასივი

№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა
1	საწესდებო ფონდი	1621,5
2	სპეცფონდები	4,3
3	რეზერვები	4.2
4	მოკლევადიანი კრედიტები	2758,8
5	ანგარიშსწორებანი	1073,5
6	საანგარიშო წლის დაგროვებანი	20,[illegible]
	ბალანსი . . .	5482,5

1936 წლის დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

1.	სხვადასხვა დანაკარგები	5,5
	დაგროვების სალდო	20,2
	ბალანსი . . .	25,7

1.	დაგროვებანი საქონლისა და მზანაწარმის რეალიზაციით	15,7
2.	სხვა დაგროვებანი	10,0
	დანაკარგების სალდო . . .	—
	ბალანსი . . .	25,7

დირექტორი **მონიავა.**
მთ. ბუღალტერი **ბარაბაძე.**

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

საქ. ადგილ. მრეწველობის სახ. კომ. საბუღალტრო ჯგუფის ხელმძღვანელი **ჯანელიძე.**

1225

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოს: 3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61. სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მდივნის— 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 66.

მთავლიტის რწმუნებული ბ—8962